სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 12 აგვისტო 1999 №152 (925) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის გამოანათებს მზის დაბნელების მერე?

დღეს „ლოკომოტივი“ თბილისში ჩრდილოირლანდიელებს დაუხვდება, „ტორპედოს“ კი ესტონეთში ტალინელი რუსები ემუქრებიან

ჭიდაობას რა უნდა?

ქუთაისელები ღონიერმა ბავშვებმა მერ შეაშინეს



იუზა კაციტაძე

ტალინიდან

აჰა, უეფას თასის გათამაშებაც მოვიდა. შარშანდელ ინტერტოტოზე „ტორპედოს“ ევროდებიუტის შემდეგ ქუთაისელების გაცილებით პრესტიჟულ კონტინენტის საკლუბო ტურნირში ნათლობის ჯერიც დადგა. დღეს ესტონეთის დედაქალაქში „კადრიორგის“ 5000-იან სტადიონზე ქუთაისის „ტორპედო“ უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში ტალინის „ლანტანას“ დაუპირისპირდება.

„ტორპედო“ სახელმწიფო კომპანია „ავიახაზების“ ლაინერით, ჩარტერული რეისით გამოფრინდა ტალინს და სამნახევარი საათის მერე ესტონეთის მიწაზე დაეშვა.

ქართული დელეგაცია მზის დაბნელებას ტალინის აეროპორტის სავიზო სამსახურის შენობაში შეხვდა. ვიზების გაფორმებას საათნახევარი დასჭირდა.

ტალინი მოქუფრული, ნისლიანი დაგვხვდა, შუადღისას კიდეც წამოწვიმა. ტემპერატურა 17 გრადუსია.

„ტორპედო“ მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისთვის აგებულ სასტუმრო „პირიტაში“ დაბინავდა. სასტუმროს ირგვლივ დიდი სპორტული კომპლექსია, აუზებით, კორტებით, სააფროსნო ნავსადგურით. ერთი სიტყვით, „პირიტა“ ჩინებულ ადგილზე, ბალტიის ზღვის პირასაა.

ტორპედოელებმა ნასადილევს ორიოდ საათი იძინეს, მერე კი „კადრიორგის“ სტადიონს სავარჯიშოდ მიაშურეს. ერთი გენახათ, გაოცებულ ქართველთა სახეები, მოედნის ერთ ნახევარზე მოვარჯიშე გუნდის ხილვისას. ეს ბავშვები ვინ არიანო, გაიკვირვეს კიდეც.

ეს გუნდი, „ტორპედოსთან“ ერთად რომ ივარჯიშა „კადრიორგზე“, ქუთაისელთა მეტოქე, ტალინის „ლანტანა“ გახლდათ.

ახალგაზრდულმა „ლანტანამ“ ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. აი, ტექნიკაზე კი რა გითხრათ, მწყრალად არიან.

ისევე, როგორც, ესტონელი ჟურნალისტები „ტორპედო“ — „ლანტანას“ მატჩზე — გაზეთებში ვერაფერი მოვიძიეთ. ჩემი კოლეგები არც ვარჯიშისას გამოჩენილან, თითქოს ეს მატჩი არავის აინტერესებსო.

აქაურების ვარაუდით, 5000-იან სტადიონზე 500 კაციც რომ მოვიდეს, დიდი ამბავი იქნება. ხალხი უფრო ვალგას მიაწყდება, სადაც „ტულევიკს“ ბელგიური „ბრიუგე“ სტუმრობს.

„ტორპედოს“ თავკაცმა დავით ყიფიანმა წინასწარი საუბრისგან თავი შეიკავა. მხოლოდ ეს თქვა — ბიჭებს შეხედეთ და რა განწყობაზეც არიან, თავად მიხვდებითო.

ქუთაისელებს განწყობა არ დაეწუნებოდათ, თან ყველა ჯანზეა.

აქაური ტელევიზია მატჩის არც პირდაპირ ტრანსლაციას და არც ვიდეოჩანაწერს ჩვენებას აპირებს.

ხოლო ქართველ გულშემატკივრებს ხვალ საღამოს ეჭნებათ ამ თამაშის ფრაგმენტების ხილვის საშუალება. იმედია, „ტორპედო“ აქ და „ლოკომოტივი“ თბილისში იყოჩაღებენ და „დინამოს“ თუ „კოლხეთის“ წარუმატებლობებით გულგატეხილ ქომაგებს ხასიათი გამოუკეთდებათ.

ინტერვიუ ტალინის „ლანტანას“ მოთამაშე-პრეზიდენტ სერგეი ბელოვთან იხილეთ მეორე გვერდზე

ბოსკამპის სკამი კორღალიძემ არ გააცია

„დინამოს“ დირექტორატმა გუშინ გუნდის მთავარ მწვრთნელად ოთარ კორღალიძე დანიშნა

თეთრაძე რომიდან შორს წავიდა

ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა კლუბი გამოიცვალა

„დიდი სამეულიც“ თუ „აბეზარები“

როტერდამმა ამსტერდამს შარშან ყველაფერი წაართვა. რა მოხდება წლეულს? დღეს ჰოლანდიის ჩემპიონატი იწყება

ლონდონი — ვარიანი: დიდი საკრივო მამაშვილობა



გუშინ გიორგი კანდელაკს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა — ახალი საკრივო დარბაზის ჭერი თვით ფრენკ მელოუნმა დაულოცა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

„პარმას“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევი ეტაპის ყველაზე მოულოდნელი შედეგით დასრულებული მატჩის მონაწილე იყო. მისი თანაგუნდელის ფაბიო კანავაროს გაძევების მერე უეფას თასის მფლობელმა გლაზგოში შოტლანდიის ჩემპიონ „რეინჯერსთან“ 0:2 წააგო

გუშინდელი მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე



REUTERS გლაზგოდან

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 20 საათი. ტალინი. კადრიორგი

ლანტანა — ტორპედო

ვაჟიკო ქათიაშვილის ფოტო

შარშანდელი „ტორპედო" — „ერებუნი". 6:0 — ასეთი იყო ქუთაისელთა ევროდებიუტი. რა იქნება დღეს?

მოთამაშე-პრეზიდენტი ხეზე აკაკუნებს

იუზა კაციტაძე ტალინიდან

ეს ჩვენ ვიცით ნებისმიერი სტუმრის ზარ-ზეიმით ხელგაშლილი დახვედრა, თორემ გუშინ ტალინში ჩასულ ქუთაისურ დელეგაციას „ტორპედოს" დღევანდელი მეტოქის ერთადერთი წარმომადგენელი — „ლანტანას" 33 წლის მოთამაშე-პრეზიდენტი *სერგეი ბელოვი* შეეგება და ისიც, ეტყობოდა, მოვალეობის მოხდის მიზნით მოსულიყო.

ბელოვი სასტუმრო „პირიტას" ფოიეში ათიოდე წუთით შეყოვნდა და ჩვენი ინტერვიუც მაშინ შედგა:

— სერგეი ანატოლიევიჩ, დიდ დროს არ წაგართმევთ, თქვენს მეტოქეზე რა იცით?

— დღევანდელ „ტორპედოზე" თუ მეკითხებით, ბევრი არაფერი. მარტო იმ ინფორმაციას ვფლობთ, რომ წლეულს თქვენს ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი თბილისის „დინამოს" ჩამორჩა და თასის ფინალი მოიგო. მე „ტორპედო" უფრო საბჭოური პერიოდიდან მახსოვს, უმაღლეს ლიგაში აქვს ნათამაშევი. საერთოდ ვაფასებ ქართულ ფეხბურთს, თქვენები ძალიან ტექნიკურები არიან. დიდ პატივს ვცემ დავით ყიფიანს, საუცხოო ფეხბურთელი იყო და, ალბათ, არც მწვრთნელობაში შეეშლება რამე. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, „ტორპედოსთან" ძნელი ბრძოლა გვექნება, აქაც და ქუთაისშიც.

— „ლანტანა" ესტონეთის ორგზის ჩემპიონია, ევროთასებზე გამოსვლის საკმაო გამოცდილებაც აქვს, მაგრამ წლევანდელ სეზონში მაინცდამაინც ვერ იხეირა...

— მართალი ბრძანდებით. ჩემპიონატის საშუალედო ფინიშთან მეექვსე ადგილზე დავრჩით. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მაგრამ მე მთავარზე გეტყვით. ბოლო ხანს გუნდი ძალიან გაახალგაზრდავდა. თქვენც თავად ნახავთ, „ლანტანაში" ძირითადად 18-20 წლის ბიჭები თამაშობენ, ამიტომ გუნდს სტაბილურობა აკლია, ერთ თამაშს რომ მაღალ დონეზე ჩაატარებს, მეორეს ჩააგდებს. ხშირად გვემართება ასე და ამიტომაც ჩამოვრჩებით ლიდერებს. არაფერია, გამოცდილება და შედეგები ერთად მოვა.

— „ლანტანას" ფინანსურად უჭირსო...

— ვინ მოგახსენათ? მართალია, მდიდარი კლუბი არ ვართ, მაგრამ არც სატირლად გვაქვს საქმე, ფეხბურთელების ვალს, როგორც წესი, არ ვიტოვებთ.

— გამოდის, რომ „ლანტანას" პრობლემები არ ჰქონია?

— პრობლემები როგორ არა გვაქვს, ოღონდ ამაზე ლაპარაკი ახლა უადგილოდ მეჩვენება.

— მაშინ ის გვითხარით, „ტორპედოსთან" თქვენს ძირითადს ხომ არავინ დააკლდება?

— ფუ, ფუ, ფუ — ხეზე ვაკაკუნებ. ყველანი ჯანზე არიან და ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ რამე მოიწიოს „კადრიორგზე" ოპტიმალური შემადგენლობით ვითამაშებთ.

— კი, მაგრამ დაცვის ბურჯი ანდრეი კრასნოპიოროვი რომ არ გეყოლებათ? ჩვენი ინფორმაციით, იგი მოსკოვის ცსკა-ს ჰყავდა შეყვანილი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში... ამიტომ „ლანტანას" უეფაზე ვერ დაეხმარება?

— კრასნოპიოროვი მართლა ვერ ითამაშებს და ამით ძლიერ დავზარალდებით, მაგრამ ის ვინ გითხრათ, რომ მაგ მიზეზით? ანდრეი ცსკა-მ ორი თვის წინ წაიყვანა გასასინჯად. ეს ფეხბურთელი ალბათ მოხვდებოდა კიდეც რუს არმიელთა გუნდში, მაგრამ ავადმყოფობა აღმოაჩნდა, საოპერაციოა და ამიტომ გამოუშვეს უკან. ცსკა-ს იგი განაცხადში არ შეუყვანია.

— მაინც რა დაავადებაზეა ლაპარაკი?

— კაცური ავადმყოფობაა, გამიგეთ... სწორედ ამის გამო ვერ ითამაშებს, მალე კი ოპერაციას გაიკეთებს და ჩვენთან იქნება.

— თქვენი ამბავიც გვაინტერესებს? ერთდროულად „ლანტანას" პრეზიდენტიც ხართ და მოთამაშეც...

— პროფესიონალი ფეხბურთელი არ ვარ, ამას არც ვმალავ. არც დიდ გუნდებში მიცდია ძალა. უბრალოდ, მიყვარს ფეხბურთი და როგორც შემიძლია, ისე ვთამაშობ.

— როგორ გაპრეზიდენტდით?

— თავის დროზე ეს კლუბი ვიყიდე.

— მამათქვენი, ანატოლი ბელოვი, მთავარი მწვთნელია.

— არც მამაჩემია ფეხბურთში პროფესიონალი. მწვრთნელად კი ბევრი უმუშავია, ჭიდაობის მწვრთნელად.

— როგორ თუ ჭიდაობის?

— დიახ, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს ავარჯიშებდა, მამა ჭიდაობის პროფესიონალი მწვრთნელია, ფეხბურთისა კი — თვითნასწავლი.

— „ლანტანას" ტალინში რუსული სათვისტომოს გუნდად იცნობენ, ასე არ არის?

— დაახლოებით. ორი ესტონელი გვყავს, ისე მოდით, ამ თემას მოვერიდოთ.

— „ტორპედოსთან" თამაშს როგორ აპირებთ, ტაქტიკა მაქვს მხედველობაში.

— ახალს, რა თქმა უნდა, ვერაფერს გამოვიგონებთ. ჩვეულ სტილში ვითამაშებთ. სწრაფი გადაადგილებები, გრძელი პასები წინ, თავდამსხმელ ვიტალი ლეიტანის მისამართით. ეს მოთამაშე ჩვენი გუნდის სული და გულია. გატანაც შეუძლია. ყველაფერს თამაში გვიჩვენებს. იქნებ თქვენს თავდამსხმელებს პერსონალური მეურვეები მივუჩინოთ. თუმცა რა მალაპარაკებს, ეს უფრო მწვრთნელის, მამაჩემის გადასაწყვეტია.

— გულახდილად გვითხარით, გაქვთ „ტორპედოს" ბარიერის დაძლევის იმედი?

— აბა, რისთვის ვთამაშობთ. გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენსას უნდა ვეცადოთ და იქნებ ბედმაც გაგვიღიმოს.

ჩემპიონთა ლიგა. III შესარჩევი ეტაპი. I წრე
11 აგვისტო

ჩელსი (ინგლისი) 3:0 სკონტო (ლატვია)
1:0 ბაბაიარო (76), 2:0 პოიეტი (77), 3:0 სატონი (84)

რაპიდი (ავსტრია) 0:3 გალათასარაი (თურქეთი)
0:1 უნსალი (34), 0:2 ფათიჰი (38), 0:3 ჰაჯი (90)

ფიორენტინა (იტალია) 3:1 ვიძევი (პოლონეთი)
1:0 ადანი (17), 2:0 კოისი (57), 2:1 ადანი (73ს.კ.), 3:1 რუი კოშტა (90)

ოლბორგი (დანია) 1:2 დინამო (უკრაინა)
0:1 რებროვი (13), 0:2 შაცკიხი (39), 1:2 სტრანდლი (55)

მოლდე (ნორვეგია) 0:0 მალიორკა (ესპანეთი)

კროაცია (ხორვატია) 0:0 მტკ (უნგრეთი)

რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 პარმა (იტალია)
1:0 ვიდმარი (33), 2:0 რეინა (76)

ბრონდბიუ (დანია) 1:2 ბოავიშტა (პორტუგალია)
0:1 მარიო სილვა (25), 1:1 სმიტი (65), 1:2 მორეირა (73)

აეკ (საბერძნეთი) 0:0 აიკ (შვედეთი)

ჰერტა (გერმანია) 2:0 ანორთოსისი (კვიპროსი)
1:0 დაეი (2), 2:0 პრეეტცი (58)

ზიმბრუ (მოლდოვა) 0:0 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

სპარტაკი (რუსეთი) 2:0 პარტიზანი (იუგოსლავია)
1:0 შირკო (39), 2:0 ტიხონოვი (73)

ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) 0:2 ვალენსია (ესპანეთი)
0:1 კ. ლოპესი (68), 0:2 ფარინოსი (74)

შტურმი (ავსტრია) 2:1 სერვეტი (შვეიცარია)
1:0 ვასტიჩი (35), 1:1 ლონფატი (45), 2:1 მარტენსი (46)

ტეპლიცე (ჩეხეთი) 0:1 დორტმუნდი (გერმანია)
0:1 ნერლინგერი (66)

REUTERS ფოტოქრონიკა

„ჩელსი" — „სკონტო" 3:0. სკონტოელი ლევან სილაგაძე ლონდონელი კრის სატონისთვის ბურთის წართმევას ლამობს

უეფას თასი. შესარჩევი ეტაპი. I წრე
11 აგვისტო

UEFA CUP

ჰიკ (ფინეთი) 2:0 შირაქი (სომხეთი)
1:0 რაფაელი (21), 2:0 ილოლა (70)

ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი, რევაზ შენგელიას ავტორობით, უკვე რიგით მეშვიდე გახლავთ.

გამოცემის ფურცლებზე შეგიძლიათ ამოიკითხოთ ყველაფერი თუ არა, თითქმის ყველაფერი ქართულ ფეხბურთზე.

მსურველებს წიგნის შეძენა შეგიძლიათ სტადიონებსა და საგაზეთო ჯიხურებში, ანაც კერძო გამავრცელებლებთან.

ფასი ხელმისაწვდომია — 4 ლარი.

იბერიამ მეკარე შეინარჩუნა

სამტრედიის „იბერიას" მეკარის პრობლემა აწუხებდა და არ იცოდა, რომელი წყლისთვის მიეცა თავი, რომ ვთქვათ, არ ვიქნებით მართლები.

ოთარ ვარდანიძესა და გიორგი ნიკურაძეს პირველი ჯგუფი ადრეც დაუჭაშნიკებიათ და მთლად უიმედოებსა და ახალბედებს ვერავინ უწოდებს, მაგრამ ერთია ახალგაზრდული ჟინი და თამაშის წყურვილი, გამოცდილება და ოსტატობა კი — სხვა.

ამიტომაც ცდილობდნენ კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლეიშვილი და მწვრთნელი სოსო ფრუიძე გუბაზ დოლიძის შენარჩუნებას. გამოცდილ მეკარესთან კონსულტანტები ცალ-ცალკე ჩაატარეს ჯერ პრეზიდენტმა, მერე — მწვრთნელმა. აქამდე საბოლოოდ არ იყო გარკვეული, დარჩებოდა თუ არა დოლიძე „იბერიაში", მაგრამ ეტყობა, მეკარემ სამტრედიელებთან საერთო ენა გამონახა:

— ჩვენ ყველაფერზე შევთანხმდით. გადაწყვეტილი ამბავია, „იბერიაში" ვრჩები და ჩემპიონატის პირველ ეტაპს უეჭველად იქ ვითამაშებ, მერე ვნახოთ, თუ უკეთესი ვარიანტი არ გამოჩნდა, ჩემპიონატსაც სამტრედიაში ჩავამთავრებ — გვითხრა გუშინ გუბაზ დოლიძემ.

„იბერიას" სხვა სათამაშო რგოლებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ერთს კი გეტყვით, გუნდის კარი საიმედო დარაჯის ხელშია. სოსო ფრუიძის საფიქრალი კი უფრო ნახევარდაცვა იქნება. მწვრთნელს ხომ გიგიაძეები ველარ დაეხმარებიან.

მამუკა ძვანტალიანი

ДИНАМОС АРЧЕВАНИ КОРДАЛИДЗЕ БОСКАМПИС СКАМИ АР ГААЦИА

„დინამოს“ ახალი მწვრთნელი ოთარ კორდალიძე და მისი თანაშემწე გია გეგუჩაძე

ბადრი ჯობავას ფოტო

ეროვნული ფეხბურთელი

ახა, ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ გაზაფხულის მიწურულს „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად იოჰან ბოსკამპის ზარ-ზეიმით მოსვლას მოკლე ხანში ასეთი ნაღვლიანი ბოლო მოჰყვებოდა. ჰოლანდიელის დინამოლობა სულ რაღაც სამ თვეს გაგრძელდა. და რა არის მწვრთნელისთვის ეს სამი თვე? არაფერი, იმედგაცრუების გარდა. ახლა კლუბისაც ვეკითხოთ. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები, მომავლის იმედი, გამუდმებული შრომა და უცებ... საბის ბუშტი რა სასსენებელია, მეხის გავარდნას ჰგავდა „დინამოსთვის“ კიშინიოვში მარცხი. ლიგა-უეფას თავი რომ დავანებოთ, კლუბი უმწვრთნელოდ დარჩა, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ფაქტობრივად წყალში გადაყარა სამი თვის ნაოფლარი. ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს, რადგან, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, ერთი მწვრთნელის გუნდიდან წასვლას მეორის მოსვლა მოჰყვება, იმ მეორეს უთუოდ განსხვავებული კონცეფცია და შეხედულებები ექნება (წესია ასეთი), შეიცვლებიან ფეხბურთელებიც (ამის ტენდენცია უკვე შეინიშნება „დინამოში“) და... არა, „ზიმბრუსთან“ მარცხმა გვარიანად შეუყინა წყალი ახალგაზრდული, მომავლის გუნდის შენების იდეას.

ბოსკამპი წავიდა, წავიდა „დინამოდან“ და თავსატეხიც გაუჩინა კლუბის ხელმძღვანელობას. გუშინდელ „სარბიელში“ ჰოლანდიელი მწვრთნელის კომენტარი შემოგთავაზეთ „ნაღვლიან განშორებასთან“ დაკავშირებით. ვფიქრობ, უინტერესო არც „დინამოს“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის რომან შოთაძის მოსაზრება უნდა იყოს. ბუნებრივია, მომხდარს სათანადო გაანალიზება და დასკვნების გაკეთება სჭირდება. ამისათვის კი გარკვეული დროა საჭირო. ამიტომაც რომან შოთაძე დიდად არ შეგვიწუხებია. მას საფიქრალი მოსძალებოდა და სათქმელიც ჯერ ბევრი არაფერი ჰქონდა:

— რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ბოსკამპს „დინამოსთან“ განშორება მოუწია. ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდულ, მომავლის გუნდს ვაკეთებდით, ჰოლანდიელ სპეციალისტთან დადებულ კონტრაქტში გავითვალისწინეთ ასეთი მუხლი — იმ შემთხვევაში, თუ „დინამო“ ვერ დაძლევდა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს, დავიტოვეთ უფლება, ბოსკამპთან კონტრაქტი გაგვეწყვიტა და, როგორც იცით, ასეც მოვიქეცით.

— როდის მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

— 9 აგვისტოს.

— მაშინ, კონტრაქტის შედგენის დროს, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ „დინამო“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ დაძლევდა. ასეა?

— როგორც ჩანს, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო ადამიანი.

— ბოსკამპი წავიდა, წავიდა დე იონგიც, ბრაზილიელი დე სოუზაც, უცხოელთაგან მხოლოდ მეკარე დონდტი შემორჩა „დინამოს“. მის უახლოეს გეგმებზე ხომ ვერაფერს გვეტყვით?

— დონდტი თბილისშია და „დინამოსთან“ ნოემბრამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. ძალიან წესიერი და ჩვენთვის ერთობ საჭირო პიროვნებაა. მას ვერვერერობით გუნდის დატოვების სურვილი არ გამოუთქვამს. ისე, ჩემსა და დონდტს შორის ჩვენს სამომავლო ურთიერთობებზე საუბარი ჯერ არ ყოფილა, გადაწყვეტილებას მალე მივიღებთ.

— რამდენიმე დღეში ეროვნული ჩემპიონატი იწყება, „დინამოს“ კი სწორედ ამ დროს მოუხდა მთავარ მწვრთნელთან განშორება...

— ბოსკამპის მერე „დინამოს“ გია გეგუჩაძე ავარჯიშებს. დარჩება იგი მთავარ მწვრთნელად თუ გუნდს სხვას ჩავაბარებთ, ეს უახლოეს ხანს, შეიძლება, უახლოეს საათებშიც გაირკვეს...

გაირკვა კიდეც. წუხელ „დინამოს“ დირექტორატის გადაწყვეტილებით გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ოთარ კორდალიძე, რომელიც ბოლონანს „თბილისს“ ამზადებდა ახალი ჩემპიონატისთვის, მანამდე კი „არსენალს“ ედგა სათავეში, საიდანაც შარშანდელი ჩემპიონატის პირველ წრეშივე წამოვიდა.

— ბევრს ვერაფერს გეტყვით. ეს-ესაა, „დინამოს“ მწვრთნელად დამნიშნეს. პირობები ჯერ არ დაგვიზუსტებია, დანარჩენი ხვალ გადაწყვიტოთო...

აქვე იმასაც გაუწყდთ, რომ „თბილისს“ ოთარ კორდალიძის თანაშემწე ნესტორ მუმლაძე ჩაიბარებს.

პაატა კვანტალიანი

უეფას თასის შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი
12 აგვისტო. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

ლოკომოტივი — ლინფილდი

ეთი ტაქტიკა სიამაყეა



დევიდ ჯეფრი

ბადრი ჯობავას ფოტო

გუშინდელი მზის დაბნელების შესახებ დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. ამ საქმეში კარგად გათვითცნობიერებული ხალხი გვაფრთხილებდა — თავს ნუ გამოიდებთ, გიჯობთ, სადმე მყუდრო ადგილას მოკალათდეთ და თუ ცნობისმოყვარეობა მაინც დაგძლევთ, დაუცველი თვალებით მაინც ნუ მიაშტერდებით დაბნელების პროცესსო...

„შერატონ მეტეხის“ ფოიეზე მყუდრო და მოსასვენებელ ადგილს აბა, სად მოვძებნიდით ლამის გადახრუკულ თბილისში. თუმცა იქ მოხვედრას რომ სავსე ჯიბე, ან მოსაწვევი ბარათი ჭირდება, მზის დაბნელებაზე ნათელი ამბავია. ჰოდა, გაახარებს ღმერთი ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის“ მთავარ მწვრთნელ დევიდ ჯეფრის, „შერატონში“ რომ მიგვიწვია პრესკონფერენციაზე და დაახლოებით ერთი საათი ტკბილად გვესაუბრა. ეტყობა, არც თვითონ სურდა გარეთ გასვლა და მისდა უნებურად ცისკენ ახედვა, თანაც არც საგანგებო სათვალე ეპყრა ხელთ და არც გამქლავნებული ფოტოფირის ნაგლეჯი...

დევიდ ჯეფრი და მისი შეგირდები ნახევრადპროფესიონალები არიან. ამას თავადაც არ უარყოფს „ლინფილდის“ დამრიგებელი. თუმცა ჟურნალისტებთან მისი ურთიერთობის შემხედვარე ბარე ორი პროფესიონალი მწვრთნელის შურით აივსებოდა. მართლაც ჩინებული მოსაუბრე გამოდგა და ხელის ჩამორთმევაც გულიანი სცოდნია. ჯერ ყველას უსათოდ გაგვეცნო, მერე კი, დიალოგის დამთავრებისას, კვლავ ვაჟკაცურად გამოგვიწოდა მარჯვენა და მარცხენას მკლავზე გვითათუნებდა.

სამ ქართველ ჟურნალისტს თარჯიმნობას სფფ-ს საინფორმაციო განყოფილების უფროსის მოადგილე მამუკა კვარაცხელია გვიწევდა. დევიდ ჯეფრის კი გვერდს თანამემამულე, ყოველდღიურ გაზეთ „ბელფასტ დეილი ტელეგრაფის“ კორესპოდენტი სტივენ ბიქმი უმშვენებდა.

— თბილისის „ლოკომოტივის“ შესახებ რა იცით?

— სამწუხაროდ, ამ გუნდის თამაშზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ.

— ქართულ ფეხბურთზე?

— „დინამო“ თბილისი გამიგია. მისი ადრინდელი თამაშების ვიდეოფირებიც ვნახე. ჩვენბურ „კრუზეიდერსთან“ და „ლინფილდთან“ შეხვედრებზე მოგახსენებთ, რომელიც ექვსი წლის წინ გაიმართა. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დამრჩა თქვენებურებზე. ტექნიკურები და სწრაფები არიან. ქართულ ფეხბურთზე კი ყველაზე კარგი შეხედულება გიორგი ქინქლაძესა და თემურ ქეცბაიას თამაშებმა შემიქმნეს. ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ მოედანზე სასწაულებს აკეთებდა. ნიუკასლელი ქეცბაია კი ფანტასტიკურ ფეხბურთელად მესახება.

— როგორი ტაქტიკის არჩევას აპირებთ?

— როგორც გითხარით, ქართული გუნდური თამაშების მხოლოდ ადრინდელ სტილზე მაქვს შეხედულება. დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ ბევრ რამეს შეცვლიდნენ თქვენი კლუბები. ამის გამო „ლოკომოტივთან“ შეხვედრისთვის განსაკუთრებულ ტაქტიკას, ბუნებრივია, ვერ მოვამზადებდი. „ლინფილდი“ ჩვეული მანერით, შემტევი სტილით ითამაშებს.

— პროგნოზს ხომ ვერ გვეტყოდით?

— ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია.

— ვიცით, რომ ტრავმირებული ფერგიუსონი არ გეყოლებათ. აქცენტს რომელ ფეხბურთელზე გააკეთებთ?

— ფერგიუსონი მართლაც დიდი ძალაა ჩვენთვის. თუმცა სხვების იმედიც მაქვს. გუნდში გამორჩეულად არავის ვეყრდნობი. ჩემთვის ყველა ერთია. ყველას ვაკალებ, ბოლომდე გაიხარჯოს მოედანზე, გულიანად და ვაჟკაცურად იბრძოლოს.

— ქართული გუნდებისთვის პირველი გოლის ფაქტორს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ „ლინფილდში“ რა მდგომარეობაა?

— თითქმის იგივე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ „ლოკომოტივმა“ პირველი გოლი გაგვიტანოს, თორემ მერე ნახეთ, რა მოხდება... ალბათ, სამსაც მიაყოლებენ. რეალურად მეტოქე ჩვენზე გაცილებით ძლიერია.

— აბა, არ ეცნობო?

— ქართული ფეხბურთის სათამაშო მანერიდან გამომდინარე ვლაპარაკობ. კვლავ ქინქლაძისა და ქეცბაიას თამაშები მახსენდება.

— „ლოკომოტივიდან“ ვინმეს გვარი თუ გეცნობათ?

— არავისი.

— უეფას თასის გათამაშებაში მონაწილეობას, ალბათ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ?

— რა თქმა უნდა, თუმცა ჩვენთვის „ფეერ პლეის“ ფაქტორი გადამწყვეტი არ არის. გასულ წელს კვიპროსის „ომონიას“ ვეპაექრეთ და მოედანზე დიდი ჩხუბიც გავმართეთ. მეტოქემ გვაიძულა, თორემ ჩვენ ვაჟკაცური ფეხბურთის მოშრეები ვართ. მსახიობობა და თაღლითობა გენში არ გვაქვს. ასეთი რამეები ჩვენთვის უცხოა. ჯიგრიანად ვთამაშობთ ყოველთვის და იმედი მაქვს, „ლოკომოტივიც ასევე მოიქცევა. ქართველები ჩვენსავით ამაყები ხართ.

— ჩვენთვის ნაცნობი ჩრდილოირლანდიური კლუბებიდან ლინფილდელი ნოელ ბეილი და კრუზეიდერსელი კრის მორგანი ახლა თქვენს განკარგულებაში არიან..

— ნოელი „ლინფილდის“ კაპიტანია. მორგანი შეტევაში დიდი ძალაა, ისევე როგორც ლერმური.

საერთოდ გუნდი ახალგაზრდულია. ყველაზე ხნიერ მოთამაშედ 28 წლის ნოელ ბეილი ითვლება.

— თქვენი კლუბისთვის ყველაზე სოლიდური ტრანსფერი რომელი იყო?

— გასულ წელს გლაზგოს „რეინჯერსს“ 170 ათას დოლარად ლი ფინი მივყიდეთ. სულ ეს არის.

— ანაზღაურება რამდენი გაქვთ?

— კვირაში 75 დოლარამდე მიხდიან. თანაც ეს მაქსიმალური ციფრია.

— „ლინფილდის“ წლიური ბიუჯეტი რამდენია?

— ზუსტად არც კი ვიცი.

— რას მივაწეროთ, თბილისში მატჩამდე 3 დღით ადრე რომ ჩამოხვედით?

— უბრალოდ, ჩარტერის ფული არ გვქონდა. ავდექით და ლონდონი-თბილისის რეისს გამოვყევით. შაბათს კვლავ ამ რეისით გადავფრინდებით უკან.

— ეკიპირება თუ ჩამოგვიდათ?

— ტვირთს სალამოსთვის ველოდებით.

— რომ არ ჩამოვიდეს?

— (იცინის). მაშინ „ლოკომოტივს“ ვთხოვთ დახმარებას...

ალარ ვუთხარით, რომ ჩვენებურებსაც თითქმის იგივე პრობლემა აწუხებთ.

— როგორც ვიცით, მწვრთნელის გარდა სხვა პროფესიაც გაქვთ.

— პარალელურად ერთ-ერთ საქველმოქმედო ფირმაში ვმუშაობ. ინვალიდებს ვეხმარებით.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— ოცდათექვსმეტის.

— თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებაც გვითხარით.

— 16-დან 19 წლამდე „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი გახლდით. შემდეგ 10 წელი „ლინფილდში“ გავატარე. მარცხენა მცველად ვთამაშობდი. გუნდს 6 წლის განმავლობაში კაპიტნობდი.

მერე ქვედა ლიგის ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი. 1996 წელს ბელფასტში დავბრუნდი კლუბის მენეჯერის პოსტზე. 1997 წლის იანვრიდან კი „ლინფილდის“ მთავარი მწვრთნელი გახლავართ.

— ჩრდილოეთ ირლანდიაში ცოტა არ იყოს, არასტაბილური პოლიტიკური ვითარეა.

— გეთანხმებით. საქმე უკეთესობისკენ კი მიდის, მაგრამ სათანადო დონემდე ჯერ კიდევ შორია. მჯერა, საყოველთაო მშვიდობა მალე დაისადგურებს ჩემს ქვეყანაში. ამის კარგ მაგალითს „ლინფილდი“ იძლევა. გუნდში ბევრი სხვადასხვა მრწამსისა და შეხედულების ფეხბურთელი თამაშობს, მიუხედავად ამისა ძალიან მეგობრული ატმოსფეროა.

— მატჩების დროს ტრიბუნებზე ისევ ხდება აფეთქებები?

— სიტუაცია მართლაც არასახარბიელოა. სროლები ახლაც არის, თუმცა ბომბებს აღარ აფეთქებენ...

— „ლოკომოტივთან“ მატჩში ქართული ამინდი ხელს არ შეგიშლით?

— საქართველო ძალიან მომეწონა. ისე, სიმართლე გითხრათ, აქ დასასვენებლად ჩამოსვლა სჯობს, ვიდრე ფეხბურთის თამაში. ქართული ამინდი ქართველი ხალხივით თბილია.

— ამბობენ, სასმელთან მწყარალად არ ბრძანდებით...

— მხოლოდ თამაშის შემდეგ ვსვამთ. ძალიან გვიყვარს ვისკი. ჩვენს ქვეყანაში ვისკის ბევრი სახეობაა. 40-გრადუსიან „ბუშმილს“ კი ყველას ვამჯობინებთ.

— ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების გარდა რომელ ეროვნულ გუნდს გულშემატკივრობთ?

— ბრაზილიას... და კიდევ საფრანგეთს.

— აბა, შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ცქერა გაგიჭირდებოდათ.

— მართლაც ასე იყო. თუმცა საფრანგეთის მოგება მინდოდა. „ლინფილდი“ ფრანგულ მაისურებს ატარებს. მკერდის მარჯვენა მხარეს მამალი გვახატია.

— კლუბებიდან რომელს გამოარჩევთ?

— „მანჩესტერ იუნაიტედი“ შეუდარებელია.

— იდეალურ ფეხბურთელად ვის თვლით?

— ძალიან მიჭირს გამორჩევა. უამრავი კარგი მოთამაშე მინახავს, მათ შორის თქვენებური ქინქლაძეცაა. ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი მაინც ჯორჯ ბესტი მგონია.

— ალბათ, შვილებსაც ფეხბურთის სიყვარულს უნერგავთ?

— რა თქმა უნდა. ორი ვაჟი მყავს — ერთი 9 წლისაა, მეორე — 12-ის. ორივე ფეხბურთს თამაშობს.

ამის შემდეგ დევიდ ჯეფრი გულთბილად დაგვემშვიდობა. მერე კი ჩრდილოირლანდიელი კოლეგა გაგვესაუბრა. მას ვთხოვეთ, „ლინფილდის“ ტაქტიკურ სქემაზე გამოთქვა აზრი.

— ჯეფრის გუნდი მეტწილად 4-4-2 ან 4-5-1 სისტემით თამაშობს. „ლინფილდისთვის“ ფერგიუსონის არყოფნა მართლაც დიდი დანაკლისია. იგი ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ლიგის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. საპასუხო მატჩში, ბელფასტში, აუცილებლად ითამაშებს, ჯანმრთელად რომ არ იყოს, მაინც გავა მოედანზე. დანარჩენებიც კარგი ფეხბურთელები არიან, ეგაა, გოლების გატანაში მოიკოჭლებენ.

როცა სტივენს ვკითხეთ, თუ ერთი თავდამსმხმელით ითამაშა „ლოკომოტივის“ წინაღმდეგ, დევიდ ჯეფრი წინა ხაზში ვის დააყენებსო, ღიმილით გვიპასუხა, „არიოლ-რეშკას“ ააგდებს და ისე გადაწყვეტსო.

ამ საუბარში გართულებმა გვიან შეამჩნიეთ, რომ გარეთ მზის დაბნელება დაწყებულიყო. „შერატონის“ შემოსასვლელისკენ გავიხედეთ და... „ლინფილდის“ თითქმის მთელ შემადგენლობას ფოტოფირი მოემარჯვებინა და ისე ადგენდა თვალს ბუნების ამ მართლაც უცნაურ პროცესს. ვერ გეტყვით, რას უკერდნენ ასეთი ინტერესით ჩრდილოირლანდიელი ფეხბურთელები. ისე, გულიანად კი ხარხარებდნენ...

ხვიჩა სანიკიძე

დამემტკიცე, ჰო, დამემტკიცე!

— დამემტკიცე, რომ ფეხბურთელს შენს გუნდთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული და მეტი არაფერი მინდა.

— მე რაც ვიცი, ესაა, თქვენთან კი ვარჯიშობს, მაგრამ კონტრაქტით ჩვენ გვეკუთვნის, ვნახოთ, როგორც გადაწყვეტენ, ისე მოვიქცეთ.

დაახლოებით ამდაგვარი ხასიათის საუბარს მოისმენდით გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში, რომელიც მერე მწვავე კამათში გადაიზარდა, თუმცა გუნდების წარმომადგენლები მალევე დაშოშმინდნენ. ისინი სატრანსფერო კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებას ელოდნენ.

...დასრულდა თუ არა კლუბების პრეზიდენტთა და წარმომადგენელთა შეხვედრა მერაბ ჟორდანიასთან, ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან გორხელაშვილმა საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცობა და მოდავე გუნდების ჩინოსანნი კაბინეტში მიიწვია, სასაუბროდ და პრობლემების გადასაწყვეტად.

და დაიწყო...

გუშინდელ თათბირზე ძირითადად სამი ფეხბურთელის — საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრების, ამჟამად „თბილისიდან" „ვიტ ჯორჯიაში" ახლახან გადასულთა — ედიკ საჯაიასა და რევაზ გოცირიძის, აგრეთვე სამტრედიის „იბერიაში" მოვარჯიშე ლადო ადეიშვილის ტრანსფერი უნდა მოგვარებულიყო, მოგვარდა კიდეც, თუმცა ამაზე ქვემოთ.

მანამდე ვი... მანამდე წყალტუბოს „სამგურალის" ხელმძღვანელობა აღშფოთებას ვერ მალავდა, — სადაა სამართალი, ორ დღეში ჩემპიონატი იწყება და ოთხი ფეხბურთელი განაცხადში ვერ შეგვყავს, მიზეზი სატრანსფერო სისტემის მოუგვარებლობაა, არადა ეს ფეხბურთელები (ხელაძე, ესაიაშვილი, ბერაძე, ჭყონია) რუსეთიდან ჩამოვიდნენ, თბილისდა ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ... ისევ და ისევ ფინანსებია, სულ რაღაც 1000-1000 დოლარია გადასახდელი და იმის საშუალება არაა, რომ მათმა ყოფილმა გუნდებმა სატრანსფერო ფურცელი გამოგვიგზავნონ, არადა, განათხოვრებაზეც არ არიან ყაბულს...

თავიდან მეგონა, თათბირზე „სამგურალის" საქმესაც განიხილავდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა.

ზემოხსენებული თათბირი საათნახევარს გაგრძელდა, გორხელაშვილის კაბინეტიდან გამოსულ გუნდების წარმომადგენლებსაც სახეზე კმაყოფილება ეტყობოდათ.

სხვა გზა არ იყო, სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარე ლევან გორხელაშვილი უნდა შეგვეწუხებინა, ჩვენი საუბარიც შედგა:

— ბატონო ლევან, რამდენადაც ვიცით, სამი ფეხბურთელის ტრანსფერი უნდა მოგვარებულიყო, შეთანხმდით?

— დიახ. „ვიტ ჯორჯია" და „თბილისი" ფაქტობრივად შეთანხმებულები იყვნენ, მაგრამ ახლა უკვე ოფიციალურად დავამტკიცეთ. ეს ფეხბურთელები — საჯაია და გოცირიძე „თბილისმა" (ყოფილმა „დინამო 2"-მა), ნორჩი დინამოელის საფეხბურთო სკოლიდან აიყვანეს, მერე კი ისინი „ვიტ ჯორჯიაში" გადავიდნენ. საბოლო შეთანხმება ასეთია — „თბილისი", სადაც ეს ფეხბურთელები აქამდე ირიცხებოდნენ, კომპენსაციის სახით გარკვეულ თანხას გადაუხდის საფეხბურთო სკოლას, ხოლო „ვიტ ჯორჯია" — „თბილისს".

— „იბერიაში" გადასული ადეიშვილის ტრანსფერი როგორ გადაწყდა?

— ადეიშვილს მიეცა უფლება, გაფორმოს კონტრაქტი ნებისმიერ კლუბთან, ამ შემთხვევაში „იბერიასთან". „მერანთან" გაფორმებულ კონტრაქტში აღნიშნული არ იყო, თუ სადამდე უნდა ყოფილიყო იგი კლუბის საკუთრება. ამ ხნის განმავლობაში იგი „მერანში" უხელფასოდ თამაშობდა.

— სანამ მისი საკითხი განიხილებოდა, მანამდე „მერანის" და „იბერიას" წარმომადგენელთა შორის საკმაოდ მწვავე კამათი გაიმართა...

— თუ „მერანს" ეჭნება რაიმე პრეტენზია საკომპენსაციო თანხაზე, შეიძლია ასე ავხსნა:

მართალია, გუნდი ადეიშვილს ოფიციალურად ხელფასს არ უხდიდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე ხომ თავისთან ჰყავდა, მწვრთნელსაც ხომ უხდიდა ხელფასს, რომელიც მას ავარჯიშებდა და რაღაცას ასწავლიდა. განა ეს გუნდის გარკვეული დანახარჯი არ არის? თუ „მერანი" სამტრედიელებთან საკომპენსაციო თანხას მოითხოვს, ეს საკითხიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განიხილება.

— ბატონო ლევან, „სამგურალს" ტრანსფერებში პრობლემა შეექმნა, სეზონი საცაა დაიწყება და წყალტუბოში, გუნდთან ერთად მოვარჯიშე ოთხი ფეხბურთელი საჩემპიონატო განაცხადში ვერ შეჰყავთ, ამაზე რას გვეტყვით?

— ამის თაობაზე არაფერი ვიცი. თქვენგან მესმის პირველად. ჩემთან ამ საკითხზე არავინ მოსულა.

რა თქმა უნდა, სატრანსფერო კომიტეტის შეფთან კიდევ ბევრ საინტერესო საკითხზე მსურდა საუბარი, მაგრამ მოუცლელობის გამო ბოდიში მომიხადა, ეჩქარებოდა.

ბოლოს კი თბილისის „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტის, გურამ რუხაძის ნაუბარს შემოგთავაზებთ, რომელიც სწორედ რომ ტრანსფერებს ეხება:

— არავითარი ნათხოვრობა, ოცდაორივე ფეხბურთელი, რომელიც ჩვენს გუნდში დღეს ირიცხება, „ვიტ ჯორჯიას" საკუთრებაა. ჩვენ ფეხბურთელთა ნათხოვრობის კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ. ამასთან დაკავშირებით ერთხელ უკვე მოგვივიდა შეცდომა და აღარ გავიმეორებთ.

გიორგი ვაშაკიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *ოთარ კორდაღიძე*	ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (ჭრილა სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია, ბათიაშვილი (თბილისი), ლ. მიქაძე, გოგიჩაიშვილი, ქებაძე შ. ჩომახიძე (ლოკომოტივი), ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), მ. მაჭავარიანი, კიკნაძე (?)	ს. გეგაძე, ვ. გიგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭვიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), თ. კობიაშვილი, მაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დონეტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი)	ერევანი (სომხეთი) 0:0, ქუთაისი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდი (ჰოლანდია) 1:0, რაპიდ (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, ფეიენ ვეიერი (ჰოლანდია) 2:1, კოლმარნეი (ჰოლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინეკი (გერმანია) 1:4
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ბათუმი), დ. მუჯირი (მერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარღიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი (სიონი), დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?)	მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), ასლანაძე, (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, (ლარნყალი), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე, ლ. მიქაძე, შ. ჩომახიძე (დინამო), ივარდავა (მეგრი), ლ. ჩაჩუა (აკადემია), განეევი (გურია)	ტორპედო 0:4, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3, კოლხეთი 4:1, 0:1, 3:0
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულეფეიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე, ვერემჩუკი, ღლონტი (?)	ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე, დოლაბერიძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტუღლუში, ა. მუჯირი (დინამო), იმახტაძე (კოლეეი)	ტორპედო 0:4, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3, კოლხეთი 4:1, 0:1, 3:0
ვიტ ჯორჯია *ხერგო კოტრიკაძე*	ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჭიშვილი, თ. ბოკერია (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი), ი. კაპანაძე (სიონი), ღამბაშიძე (?)	კოტორაშვილი (ლოკომოტივი), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი), დიღმელაშვილი (სამსუნსფორი, თურქეთი), ე. საჯაია, რ. გოცირიძე (თბილისი)	დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0, იბერია 3:1, თსუ 6:4, 1:2
არსენალი *დავით ჩახავა*	ზირაქიშვილი (დინამო), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ჩიქოვანი (თამაში მიატოვა)	გონწაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია (არსენალი-2)	არსენალი-2 4:2, 1:1, აქმაბადი (თურქეთი) 1:0, ტრაბზონსფორი-2 (თურქეთი) 1:1, გირესუნსფორი (თურქეთი) 1:4, თბილისი 3:9, 2:2
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე (ლოკომოტივი), ასალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია, გლუნწაძე (?)	ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია (სამგურალი-2), ბერაძე (ჩერნომორეცი, რუსეთი), დ. ჭელიძე (მერანი), კოხრეიძე (არსენალი-2)	ტორპედო 0:3, ინტერი 4:1, მეტალურგი 5:0, დინამო (გაგრა) 3:0, დინამო (ქუთაისი) 9:0
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (თსუ), კ. ნიკლაური, (იბერია), ძნელაძე, დ. ბერიძე, ტყავაძე (?)	დ. გოდერძიშვილი ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), მ. მინდიაშვილი (დილა), ვოლკოვი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), სიდამონიძე (გორდა), ი. კაპანაძე (ვიტ ჯორჯია)	ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1
თბილისი *ნესტორ მუშლაძე*	ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (დინამო), ე. საჯაია, რ. გოცირიძე (ვიტ ჯორჯია)	ბათიაშვილი, კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ლ. ბერიძეული (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (ანეტბოლი კოსი, საბერძნეთი), ა. ჩიხრაძე (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), ბედიაშვილი (გორდა)	ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1, გორდა 4:1, თბილისი (მოყვარულები) 2:1, არსენალი 9:3, 2:2

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზეარიან)	ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვირნაძე, ვადაჭკორია, ასათიანი (ტორპედო 2)	დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლეგრნი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონი, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ბეერსხოტი (ბელგია) 2:9
კოლხეთი *გია ტყემალაძე*	მ. ქობულაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), კალანდაძე, ჩადუნელი (?)	რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ვეღარკაცა, მაკალათია, ლეფავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ქოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცაცია (გურია), მგელაძე (მერცხალი), ქვაჩახია (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი)	თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტმარნაცა (მაკედონია) 2:4, 0:4, იბერია 3:0, 3:1, ლოკომოტივი 1:2, 0:2, ბათუმი 1:4, 1:0, 0:3
მერანი *ოქმურ ჩხაიძე*	ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), ხუციშვილი (მერიფი, მოლდოვა), დავითნიძე (თბილისი), დ. ჭელიძე (სამგურალი), გ. კვეტენაძე (?)	კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭეპია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ქველაძე (იბერია), ქობესაშვილი (თორი), კოშკაძე (21-ე საუკუნე)	ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი 2:1, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, თბილისი (მოყვარულები) 2:1, 0:0 38:9, გორდა 1:2, დილა 0:3
იბერია *სოსო ფრუიძე*	სგეგიაძე, ვ. გიგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე (მერანი), ვარდიაშვილი (?)	გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე (ფაზისი), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური (სიონი)	ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3, ვიტ ჯორჯია 1:3
დილა *მერაბ ხუციშვილი*	მარუხაშვილი (თამაში მიატოვა), მ. მინდიაშვილი (სიონი), რ. ახალკაცი (ჩერნომორე, ვარნა, ბულგარეთი)	სოლოლაშვილი (დინამო), მარღიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა)	ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1, 3:0, ივერია 4:2
გორდა *იასონ ალადაშვილი*	ბედიაშვილი (თბილისი), რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), სიდამონიძე (სიონი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?)	თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი)	ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1, შამქირი (აზერბაიჯანი) 0:2, თბილისი 1:4, მერანი 2:1
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონწაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), კ. ალანია, მერაბიშვილი (ხობი), ჭუმბურიძე, გაბელია (?)	გუგუნავა (სიონი), ასალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ერაძე, გვირჭიშვილი, თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმენია ამბატორი, გერმანია)	გარეჯი 1:3 0, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1, ჭაბუკიანი 3:1, ვიტ ჯორჯია 4:6, 2:1
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*		ბაბუაძე (ბოდილია, ხმელნიცკი, უკრაინა), ზ. კვეკვესკირი (გურია), თორი (მერცხალი), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა), კ. ალანია, მერაბიშვილი (თსუ)	ლაზიკა 2:0, მეგრი 2:4, 2:1, 3:1, 2:1

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის

ან ფული, ან სული

ფედერაცია კლუბებს მოკვეთით ემუქრება

— ბოლოს და ბოლოს დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ფეხბურთი ღრმა კრიზისს განიცდის. გამოსავლის პოვნაა საჭირო. თუ ჩვენ საქმეს ერთიანი ძალებით მოვკიდებთ ხელს, მწამს, რომ კრიზისს დავძლევთ. ფეხბურთში ყოველთვის იყო დაპირისპირებები, მაგრამ მინდა, ჩათვალოთ, რომ დღეს ეს აღარ არსებობს. ჩვენ ვართ ერთი ოჯახი და გვაქვს საერთო პრობლემები, რომლებიც საერთო ძალისხმევით უნდა გადავწყვიტოთ — ეს სიტყვები მერაბ ჟორდანიამ გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ სხდომაზე წარმოთქვა. ამ თავშეყრაზე საუბარი კი მართლაც ღირს.

XI ჩემპიონატი უკვე კარს მოგვადგა. ჩემპიონატი, რომელიც სადებიუტო იქნება ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობისთვის. ჰოდა, ახალ ჩემპიონატს ფედერაციამაც ნოვატორული ნაბიჯი შეაგება — მერაბ ჟორდანიამ სეზონის გახსნის წინ პირველ ლიგაში მოასპარეზე კლუბების პრეზიდენტებთან შეხვედრა ისურვა. მართალია, სამწუხაროდ, ამ სხდომაზე დასწრების საშუალება არ მომეცა, მაგრამ დასაწყისში მოყვანილი სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვს ნუ შეიტანთ. სწორედ ასე მიმართა პრეზიდენტმა მოწვეულთ. საერთოდ სხდომას უაღრესად თბილ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაუვლია.

— ვფიქრობ, დღეს დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ კლუბებისა და ფედერაციის ურთიერთობის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, ნახევრად ოფიციალური, ნახევრად არაოფიციალური შეხვედრა იყო. ყველამ გამოთქვა თავისი აზრი. იცით, რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მიმაჩნია, რომ ქართული ფეხბური მძიმედ, მაგრამ მაინც ვითარდება. თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს პროცესი დავაჩქაროთ, მთავარია, მიღებული რეგლამენტი დავიცვათ. როდესაც რეგლამენტი ირღვევა, ამას თავისი პროტექციონისტული საფუძველი აქვს, რასაც მერე თანაბარი უფლებების დარღვევა მოჰყვება. საბოლოოდ ეს ყოველივე ქართული ფეხბურთის დაღუპვამდე მიგვიყვანს, ამიტომ, ვიმეორებ, მიღებული რეგლამენტი მკაცრად უნდა დავიცვათ — თქვა სხდომის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა იგულისხმა მიღებულ რეგლამენტში ბატონმა გურამმა — 10 000 ლარი — თანხა, რომელიც პირველ ლიგაში მოასპარეზე თექვსმეტივე კლუბმა უნდა გადაიხადოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. ადვილი შესაძლებელი იყო, გუშინდელ შეხვედრაზე ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები მწვავედ წამოჭრილიყო. თუმცა ასე არ მოხდა. რა დასამალია და (ან კი ვის უნდა დავუმალოთ) ჩვენში ბევრ კლუბს არა აქვს საშუალება, ერთბაშად გადაიხადოს ეს თანხა. მეტსაც გეტყვით, ეს 10 000 ჩემპიონატის დაწყებამდე (არა და რაღა დარჩა) ზოგიერთი კლუბის მესვეურს გვარიან ოფლსაც ადენს (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე). ბევრი კლუბის ხელმძღვანელი, ალბათ, მხარს დაუჭერდა „სამგურალის" პრეზიდენტის, გრიგოლ ქათამაძის მოსაზრებას. ბატონი გრიგოლი ამ იდეის გამომზეურებას გუშინდელ სხდომაზე აპირებდა. ქათამაძე ამბობდა — ფედერაციამ იქნებ ხელი შეგვიწყოს, ამ ეტაპზე 5000 ლარს გადავიხდით და დარჩენილ თანხას ეტაპობრივად გავისტუმრებთო. მაგრამ, როგორც გითხარით, ეს საკითხი გუშინდელ სხდომაზე არ წამოჭრილა — ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შეუვალი იყო. მერაბ ჟორდანიამ ყველას

მერაბ ჟორდანია

დაასწრო და მკაცრად მოითხოვა ადრინდელი გადაწყვეტილების შესრულება — პირველი ლიგის კლუბი, რომელიც 13 აგვისტოს ჩათვლით 10 000 ლარს არ გადაიხდის, ჩემპიონატიდან მოიხსნება — განაცხადა ჟორდანიამ.

ჩვენი კლუბების ხელმოკლეობის ამბავი სხვაზე ნაკლებ არ მესმის, მაგრამ ერთი რამ ცხადია — სავსებით მართალია გურამ რუხაძე, ბოლოს და ბოლოს ფედერაციის გადაწყვეტილებებს კლუბებმა ანგარიში უნდა გაუწიონ. არა მგონია, ლამაზი იყოს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყოველდღე ახსენებდეს კლუბების მესვეურთ, ხომ იცით, ამდენია გადასახდელი და თქვენი ჭირიმეთ, არ გამაწბილოთო. ბატონი გურამის ნათქვამს ერთს დავუმატებდი — მიღებულ რეგლამენტს დაცვასთან ერთად პატივისცემაც სჭირდება.

სიტყვა — პატივისცემა შემთხვევით არ მომიყვანია. თავად განსაჯეთ, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი თითოეული კლუბის პრეზიდენტს (ვიმეორებ — პრეზიდენტს) სთხოვს, ერთობლივ შეხვედრას და რა გამოდის, გუშინდელ სხდომას მხოლოდ ექვსი პრეზიდენტი ესწრებოდა: რომან შოთაძე (დინამო), გურამ რუხაძე (ვიტ ჯორჯია); გრიგოლ ქათამაძე (სამგურალი), დავით გოდერძიშვილი (თსუ), ნუგზარ ნიკოლაიშვილი (იბერია) და მალხაზ ლომთაძე (თბილისი). „სიონმა", „დილამ", „ხობმა", „კოლხეთმა" და „მერანმა" სხდომაზე წარმომადგენლები მიავლინეს. „ტორპედოს" და „ლოკომოტივის" პრეზიდენტები საპატიო მიზეზით არ იმყოფებოდნენ (მოგეხსენებათ, ეს გუნდები დღეს უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან). აი, „გორდას", „არსენალის" და „ბათუმის" ხელმძღვანელთა საქციელი მართლაც საკვირველია. ამ კლუბების წარმომადგენლებიდან გუშინ არავის შეუღია ფედერაციის კარი.

გუშინდელი სხდომის დასასრულს მერაბ ჟორდანამ განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრები ყოველი სეზონის წინ მოეწყობა და ტრადიციად იქცევა. ვერაფერს იტყვი. სხდომაზე დამსწრენი ამბობდნენ, სასარგებლო და საჭირო შეხვედრა იყოო, სარგებლიანი საქმის ტრადიციად ქცევას კი რა სჯობს, ოღონდ ტრადიციას რომ პატივისცემა სჭირდება, სამომავლოდ მაინც ნუ დავივიწყებთ.

ბაათა ძვანტალიანი

დილას ისტორია გაჩერდა

მარეხაშვილი და მარღიშვილი ფეხბურთიდან წავიდნენ

ყველაზე მეტი მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში და თანაც მხოლოდ მშობლიურ „დილაში". ჯიმშერ მარეხაშვილს 1990 წლიდან დღემდე 291 ოფიციალური მატჩი ჩაუტარებია. მას მუდამ ჭკვიან, ტექნიკურ ნახევარმცველად მიიჩნევდნენ. მის გააზრებულ თამაშს „დილა" ბევრჯერ უხსნია მარცხისგან. უბერებელი მეშვიდე ნომერი — ასე ეძახდნენ მინდორზე გასულ მარეხას გორელი ქომაგები.

მარეხაშვილი მართლაც უბერებელი და უკვდავია, იგი კიდევ ორ ჩვენისთანა თაობას გამოიცვლის, აუცილებლად ძეგლი უნდა დავუდგათ, აქვე, სტადიონის შემოსასვლელში — იხუმრებდნენ ზოგჯერ მასთან გამოზრდილი თანაკლუბელები.

წლებს თავისი მიაქვს და იქნებ მართლაც სიბერე შეეპარა მარეხას?! აკი თავად ამბობდა, ახლა ჩემი თამაში სირცხვილიაო.

34 წლის კი არა, კამერუნელმა როჟე მილამ 42 წლის ასაკში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა, ჩვენებური მერაბ მეგრელაძე კი წლების სიმრავლეს სულაც არ იმჩნევს და გოლებიც ძველებურად გააქვს.

მარეხაშვილი ახალი ჩემპიონატისთვისაც გულმოდგინედ ემზადებოდა, დაუზარებლად დარბოდა ახალგაზრდების გვერდიგვერდ, მისაბაძ მაგალითს აძლევდა შეილისტოლა ბიჭებს.

— კიდევ ვითამაშებ ერთი-ორი სეზონი, ნელ-ნელა შევეგუები უფეხბურთობას და მერე წავალო, გვითხრა მარეხამ, მაგრამ მეთერთმეტე ჩემპიონატის დაწყებამდე სამი დღით ადრე მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, ფეხბურთი ჩემთვის დამთავრდაო.

მის რეკორდს არამარტო გორელი, სხვაც კარგა ხანი ვერ დაამხობს. განა სახუმარო საქმეა, 291 მატჩი ერთ გუნდში.

გორის „დილამ" შეიძლება კიდევ ერთი რეკორდსმენი და პატივსაცემი მოთამაშე დაკარგოს. ეროვნულ ჩემპიონატში „დილას" ბომბარდირმა როინ მარღიშვილმა (45 გოლი) ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტაო. მისნაირებს შემტევ ნახევარმცველს ეძახიან. მომცრო ტანის, მოძრავი და სწრაფი, ტექნიკური და საზრიანი მოთამაშე ძლიერ დააკლდებათ გორელებს. აქამდე წასვლას არც მარღიშვილი აპირებდა, მასაც ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიუღია.

როინ მარღიშვილი (მარცხნივ)

ჯიმშერ მარეხაშვილი (მარჯვნივ)

მიზეზად ბევრი რამ შეიძლება დავასახელოთ — ასაკი, ბურთის მობეზრება, სხვა, გაცილებით სარფიანი საქმის გამონახვა და ასე შემდეგ. დასაბამიდან ასეა, ყველაფერს აქვს დასაწყისიც და დასასრულიც. მარეხაშვილმა და მარღიშვილმა ალბათ ახალგაზრდებს დაუთმეს ადგილი.

ფეხბურთიდან დროულად და ნაადრევადაც წასული ბევრი გვინახავს, მაგრამ უკან მობრუნებულიც არაერთი ახსოვს საფეხბურთო ისტორიას. ალბათ, არც არავის გაუკვირდება მარღიშვილი და მარეხაშვილი „დილას" კვლავ დაუბრუნდნენ. ეს მაშინ მოხდება, თუ გუნდს უკიდურესად გაუჭირდა, გასავარდნად ექნა საქმე. მანამდე კი ასეა, „დილას" ორი ისტორიული მოთამაშე, ორი რეკორდსმენი ფეხბურთს გამოეთხოვა.

გორელებს საწუხარი კიდევ აქვთ. გუნდიდან წასული მეკარე, რამაზ სოლოლაშვილი „დილას" არ გაკარებია. ის კი არა, ქალაქშიც არ ჩანსო, ამბობენ. მწვრთნელებს კი ეიმედებათ, შუმახერა არ გაგვწირავს, დაბრუნდებაო, მაგრამ ამ ლოდინში საცაა ჩემპიონატიც დაიწყება. ახლა მწვრთნელებს უვარჯიშებელი დავით მდივანის, ნაავადმყოფარი თამაზ ილურიძისა და ხაშურიდან ჩამოყვანილი ახალგაზრდა და ახალბედა რამაზ ხარშილაძის იმედი უნდა ჰქონდეთ.

გუნდიდან წავიდა და ბულგარულ მეორე დივიზიონში მოეწყო მწვრთნელ ივანე თაყაძის ვაჟი რომანი. მან ვარნის „ჩორნოე მორესთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მის სანაცვლოდ „დილამ" და ივანე თაყაძემ მეორე შვილი დაიბრუნა. მიხეილ თაყაძე, რომელიც მოლდოვურ „შერიფში" ისინჯებოდა, ისევ გორში ითამაშებს.

გორშივე ითამაშებენ ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილები — გიორგი და ბექა ჩიტაიები. ისინი თბილისურ „ვიტ ჯორჯიაში" შემდეგ თსუ-ში ისინჯებოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისევ „დილას" დაუბრუნდნენ.

მიუხედავად არეული ვითარებისა, გორელები ვარჯიშობენ და ამხანაგურ მატჩებსაც მართავენ. საკუთარ „ცენტრალურზე" ჯერ თბილისური „მერანი" დაამარცხეს 3:0, მერე ხაშურის „ივერიას" მოუგეს 4:2.

როგორი სუსტიც არ უნდა იყოს „დილა", საკუთარ კედლებში მაინც ძნელად წასაქცევ გუნდად რჩება. ესეც გორელთა ტრადიციაა.

მამუკა ძვანტალიანი

თეთრაძე რომიდან შორს წავიდა



ქართული საფეხბურთო სკოლის აღზრდილი ომარი თეთრაძე სერია A-ს „რომადან" საბერძნეთში, სალონიკის „პაოკში" გადავიდა. ომარმა ბერძნულ კლუბთან 1+2 სისტემის კონტრაქტს მოაწერა ხელი და გუშინ პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

ვლადიკავკაზის „ალანიიდან" „რომაში" გადასული თეთრაძის კარიერა ძალიან რთულად აეწყო. ომარი პირველსავე ჩემპიონატში მძიმედ დაშავდა და წელიწადნახევარი უვარჯიშებელი იყო. ჯამში მან სერია A-ში 15 შეხვედრა გამართა (ერთი ავტოგოლიც გაიტანა).

ახლახან გაჩნდა ცნობა, რომ თეთრაძე „უდინეზეს" მიჰყავდა, მაგრამ კლუბს რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი დაუწუნებია.

„პაოკი" თეთრაძის მეექვსე კლუბია კარიერაში. აქამდე მას თბილისის „დინამოში", ოზურგეთის „მერცხალში", მოსკოვის „დინამოში", ვლადიკავკაზის „ალანიასა" და „რომაში" უთამაშია.

ჯერჯერობით თეთრაძე სალონიკში, სასტუმროში ცხოვრობს, თუმცა ქალაქის ცენტრში მალე მიიღებს ბინას, რის შემდეგაც მასთან მეუღლე და შვილი ჩავლენ.

სიმონ მენაბდე

კაპიტნის აზრით

გერმანიის ნაკრების კაპიტანს, ოლივერ ბირჰოფს, გადაუწყვეტია მწვრთნელს, ერიხ რიბეკს, ვეტერანი ნახევარმცველის, თომას ჰესლერის, გუნდში დაბრუნება სთხოვოს.

„მეჰმეთ შოლი და თომას ჰესლერი ის მოთამაშეები გახლავან, რომელთა უზადო ტექნიკა ნაკრებს უმნიშვნელოვანეს თვისებებს სძენს" — თქვა იტალიური „მილანის" თავდამსხმელმა გერმანული „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

„დიდებული იქნება თუ ორივე ფეხბურთელი ითამაშებს ფინეთში" — დასძინა მან.

ფინეთში ევროპის 1996 წლის ჩემპიონები 4 სექტემბერს ევრო 2000-ის შესარჩევ შეხვედრას ჩაატარებენ.

ბირჰოფის მიერ ნახსენები ჰესლერი 32 წლისა გახლავთ. მან თავისი ბოლო, 97-ე მატჩი ეროვნულ გუნდში 1998 წელს, საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. ეს გახლდათ გერმანელებისთვის ავად მოსაგონარი მეოთხედფინალური შეხვედრა ხორვატიასთან, რომელიც მეტოქის გამარჯვებით 0:3 დამთავრდა.

ჰესლერი დორტმუნდის „ბორუსიაში" გატარებული საძაგელი სეზონის შემდეგ ახლახანს „მიუნხენ 1860"-ში გადავიდა.

რაც შეეხება შოლს, რომლის ტექნიკაც ასევე შეაქო კაპიტანმა, გახლავთ 28 წლის ნახევარმცველი, რომელმაც ცოტა ხნის წინ, მექსიკაში გამართულ კონფედერაციათა თასზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ენამწარეთა აზრით მე-20 საუკუნის მიწურულს გერმანელი ფეხბურთელებისგან ასეთი რამ გასაოცარია.

საშოცი მილიონი გირვანქაო?!

ესპანეთის ჩემპიონმა „ბარსელონამ" ბრაზილიელი გამთამაშებლის, რივალდოს გასხვისების ყველა ვარიანტი გამორიცხა.

— რივალდო ხელშეუხებელია — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა ხოსეპ ლუის ნუნიესმა — იგი „ბარსელონაში" დარჩება. ჩვენ არათუ გავასხვისებთ რივალდოს, არამედ მისი შეძენის მსურველთ არც კი მოვუსმენთ — დასძინა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს" და იტალიის ვიცე-ჩემპიონ რომის „ლაციოს" რივალდოს თაობაზე კატალონიელებთან მოლაპარაკებების დაწყება სურდათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

რომის კლუბის წარმომადგენლები გასულ კვირას ბარსელონას ეწვივნენ და ოცმილიონგირვანქიანი სატრანსფერო ფურცელიც შავ ჩემოდანში ედოთ, მაგრამ საქმე მოლაპარაკებებამდეც არ მისულა. ხოსეპ ლუის ნუნიესი, „ბარსელონას" ამაღორძინებელი, აზრს არ იცვლის — რივალდო არ გაიყიდება.

რამდენიმე დღის წინ, მას შემდეგ, რაც „ლაციოს" წარმომადგენლები უარით გაისტუმრა, გაღიზიანებულმა ნუნიესმა განაცხადა, რომ თუ რივალდოს გასხვისებამდე მაინც მივა საქმე, მისმა მსურველმა კლუბმა 60 მილიონ გირვანქაზე მეტი უნდა გადაიხადოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყებენ კატალონიელები მოლაპარაკებას.

ვერ გეტყვით, რას ფიქრობენ „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელები, მაგრამ ისინი „ბარსელონას" არა და არ ეშვებიან — გუშინ ოლდტრეფორდელებმა კატალონიელებს კიდევ ერთხელ მიმართეს, რივალდო დაგვითმეთო. ამჯერად საუბარი 25 მილიონ გირვანქაზეა.

— რივალდო დღესდღეობით მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელია და ჩვენ ბედნიერები ვიქნებით, თუ მის შეძენას შევძლებთ. ბრაზილიელი ნამდვილად დაამშვენებდა „მანჩესტერ იუნაიტედს" — განაცხადა ინგლისელთა ბოლო წლების ყველაზე ტიტულიანი კლუბის თავმჯდომარემ, მარტინ ედვარდსმა.

„ბარსელონა" მაინც უარზეა. რივალდო „კამპ ნოუდან", ალბათ, არსად წავა.

რივალდო (მარცხნივ) „ბარსელონაში" ბედნიერია

სანამ „ბარსელონა" რივალდოს მსურველებს უარით ისტუმრებს, ფეხბურთელი ესპანეთში ჩავიდა და კატალონიელებს სიყვარული შეჰფიცა:

— ბარსელონაში ბედნიერი ვარ და სხვაგან გადასვლა აზრადაც არ მომსვლია. აქაურობას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ თავს ცუდად ვიგრძნობ — განაცხადა რივალდომ. შეგახსენებთ, რომ იგი „ბარსელონასთან" 2002 წლამდეა დაკავშირებული. ბრაზილიელის და ესპანური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს შორის ხელშეკრულება სწორედ მაშინ იწურება.

ესპანური პრესის ცნობით, რივალდოს წარმომადგენლები უახლოეს დღეებში „ბარსელონას" ხელმძღვანელობას და პირადად პრეზიდენტ ხოსეპ ლუის ნუნიესს შეხვდებიან, რათა ახალი კონტრაქტი განიხილონ. ამასობაში რივალდო აცხადებს, რომ იგი მომავალზეც ფიქრობს და ძალიან უხარია, რომ მანჩესტერელებმა კატალონიელებს მის სანაცვლოდ ძალიან დიდი თანხა შესთავაზეს.

— მესიამოვნა, როცა გავიგე, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემს სანაცვლოდ რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს იხდიდა. ამან მაგრძნობინა, რომ რაღაცას წარმოვადგენ და ერთობ გამახარა, თუმც „ბარსელონას" დატოვებას მაინც არ ვფიქრობ. აქ მართლაც ბედნიერი ვარ! — აცხადებს რივალდო.

ბოტე ვაიტაძე

ფეხბურთის რუკასთან

ნიგერიელი მცველით, ტარიბო ვესტით ამსტერდამის „აიაქსი" დაინტერესდა. ჰოლანდიის ყველაზე ტიტულიანი კლუბის წარმომადგენლები ორიოდ დღის წინ მილანსაც ეწვივნენ და „ინტერთან" მოლაპარაკებები გააბეს. იტალიელებს ვესტის გაყიდვა მას შემდეგ სურთ, რაც ფეხბურთელი და „ინტერის" ყოფილი მწვრთნელი, რუმინელი მირჩა ლუჩესკუ შელაპარაკდნენ. ვესტის შეძენა ინგლისურ კლუბებს — „ნიუკასლ იუნაიტედს" და ბირმინგემის „ასტონ ვილას", ასევე ესპანურ „რასინგს" სურდათ. ვესტის სანაცვლოდ გვარიან თანხას იხდიდა თურქული „გალათასარაი", მაგრამ ფეხბურთელმა წასვლა იუარა. „აიაქსის" წარმომადგენელთა თქმით, ტარიბო ვესტი მათ ლონდონის „ჩელსიში" გადასული მარიო მელხიოტის შემცვლელად ესახებათ.

არსენალი	2	2	0	0	4:2	6
ჩელსი	1	1	0	0	4:0	3
ტოტენჰემი	2	1	0	1	3:2	3
ლივერპული	1	1	0	0	2:1	3
ასტონ ვილა	1	1	0	0	1:0	3
ბრედფორდი	1	1	0	0	1:0	3
ვესტ ჰემი	1	1	0	0	1:0	3
საუთჰემპტონი	1	1	0	0	1:0	3
უიმბლდონი	2	1	0	1	5:5	3
მიდლსბრო	2	1	0	1	3:3	3
სანდერლენდი	2	1	0	1	2:4	3
ევერტონი	1	0	1	0	1:1	1
მანჩესტერი	1	0	1	0	1:1	1
ლიდსი	1	0	1	0	0:0	1
დერბი ქაუნთი	2	0	1	1	1:2	1
ლესტერი	1	0	0	1	1:2	0
შეფილდ უენსდი	1	0	0	1	1:2	0
ქოვენთრი	1	0	0	1	0:1	0
უოტფორდი	2	0	0	2	2:5	0
ნიუკასლი	2	0	0	2	1:4	0

REUTERS დერბიდან

დერბი — არსენალი 1:2. „დერბის“ კარს უტევს ნვანკვო კანუ

ინტერტოტოს თასი. ფინალი. I წრე

10 აგვისტო

მონპელიე (საფრანგეთი) 1:1 ჰამბურგი (გერმანია)

1:0 ლოკო (143), 1:1 პანადიჩი (79)

ვესტ ჰემი (ინგლისი) 0:1 მეცი (საფრანგეთი)

0:1 საჯა (12)

იუვენტუსი (იტალია) 2:0 რენი (საფრანგეთი)

1:0, 2:0 ინძაგი (31, 63)

REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — რენი 2:0. ფილიპო ინძაგიმ (მარჯვნივ) ორი გოლი გაიტანა და გათამაშების ბომბარდირადაც იქცა

უცნაურია — ევროპაში სეზონი ჯერ არ დაწყებულა, ერთი ევროთასის გათამაშება კი უკვე სრულდება. ინტერტოტოს თასის ფინალში მხოლოდ ერთმა მასპინძელმა შეძლო გამარჯვება — ტურინის „იუვენტუსმა“ უეფას თასის საგზური თითქმის დაიბევა.

კარლო ანჩელოტიმ, ტურინელთა მწვრთნელმა, ამ შეხვედრის შემდეგაც ზუსტად ის განაცხადა, რასაც „ჩაჰლაულთან“ და „როსტსელმაშთან“ შეხვედრების შემდეგ ამბობდა — პირველ ტაიმში გაგვიჭირდა, მეორეში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ანჩელოტიმ „რენთან“ მოგების შემდეგ ამ უცნაური ფაქტის გამომწვევ მიზეზზეც თქვა — ჩვენ მეტოქეებს სეზონი კარგა ხნის დაწყებული აქვთ, ჩვენ კი მხოლოდ ახლა ვიწვრთნებითო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იტალიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა, რომელსაც ევროტურნირზე მონაწილეობა ინტერტოტოს თასის გავლით უხდება, ფინალის პირველი მატჩი მოიგო. ორი კვირის შემდეგ, 24 აგვისტოს, გუნდი, ალბათ, საბოლოოდ მოიპოვებს ინტერტოტოს თასის მფლობელის სახელს.

— ანგარიში სულაც არ მიუთითებს მატჩის მსვლელობაზე. ჩვენ უფრო დიდი სხვაობითაც შეგვეძლო მოგება — თქვა ანჩელოტიმ. „იუვენტუსის“ საუკეთესო თავდამსხმელის, ფილიპო ინძაგის ორი გოლის გარდა, იტალიელებმა ბევრი მოშენტი ვერ გამოიყენეს.

რაც შეეხება ინძაგის ორ გოლს, ერთი ფილიპომ ჯონათან ბაკინის პასის შემდეგ გაიტანა, მეორედ კი ზიდანი-დელ პიეროს კომბინაცია დააგვირგვინა. შვიდი ბურთით ინძაგი ინტერტოტოს თასის ამ გათამაშების ბომბარდირია.

ზიდანი ვახსენეთ — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ფრანგი თანამემამულეებს მეორე ტაიმში დაუპირისპირდა. მან სანდი ოლისე შეცვალა. ზიდანის დარად, მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში ალესანდრო დელ პიერო. სწორედ „იუვენტუსის“ ამ ორი ლიდერის გამოჩენას მოჰყვა ის, რომ მასპინძლებმა (შეხვედრა ჩეზენაში შედგა) შესვენების შემდგომ „რენს“ აშკარად აჯობეს.

ამხანაგური მატჩი 18 აგვისტო. **დანია — ჰოლანდია**

დანიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), ტომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი); მცველები — სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რენე ჰენრიკსენი (აკადემისკი), იეს ჰოგი (ჩელსი, ინგლისი), იაკობ ლაურსენი (დერბი, ინგლისი), მიხაელ შიონბერგი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია); ნახევარმცველები — ბიარნე გოლდბეკი (ჩელსი, ინგლისი), ტომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), ალან ნილსენი (ტოტენჰემი, ინგლისი), ბრაიან სტინ ნილსენი (აკადემისკი), სტივ ტოფტინგი (დუისბურგი, გერმანია), მორტენ ვიგჰორსტი (სელტიკი, შოტლანდია); თავდამსხმელები — მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), პეტერ მიოლერი (ოვიედო, ესპანეთი), ებე სანდი (შალკე, გერმანია), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია).

ამხანაგური მატჩი 18 აგვისტო. **ბელარუსი — რუსეთი**

რუსეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ალექსანდრ ფილიმონოვი (სპარტაკი), სტანისლავ ჩერჩესოვი (ტიროლი, ავსტრია); მცველები — დმიტრი ხლესტოვი (სპარტაკი), ვიქტორ ონოპკო (ოვიედო, ესპანეთი), იგორ იანვოსკი (პსჟ, საფრანგეთი), იგორ ჩუგაინოვი, იური დროზდოვი (ლოკომოტივი), ანდრეი კონდრაშოვი (ზენიტი); ნახევარმცველები — დმიტრი ალენიჩევი (რომა, იტალია), ვლადიმირ ბუტი (დორტმუნდი, გერმანია), ვალერი კარპინი (სელტა, ესპანეთი), ვიქტორ ბულატოვი, იგორ ტიტოვი, ანდრეი ტიხონოვი (სპარტაკი), ალექსეი სმერტინი (ლოკომოტივი), დმიტრი ხოხლოვი (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), სერგეი სემაკი (ცსკა); თავდამსხმელები — ალექსანდრ პანოვი (ზენიტი), ვლადიმირ ბესჩასტნიხი (რასინგი, ესპანეთი)

ამხანაგური მატჩი 18 აგვისტო. **შვედეთი — ავსტრია**

შვედეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მაგნუს ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), მაგნუს კილშტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები — იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ტომას გუსტაფსონი (აიკ), ანდრეას იაკობსენი (ჰელსინგბორგი), პონტუს კამარკი (აიკ), ტედი ლუჩიჩი (ბოლონია, იტალია), როლანდ ნილსონი (ჰელსინგბორგი); ნახევარმცველები — ნიკლას ალექსანდერსონი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), ფრედრიკ ლუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), იოჰან მიოლბუ (სელტიკი, შოტლანდია), სტფან შვარცი (სანდერლენდი, ინგლისი), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია); თავდამსხმელები — კენეტ ანდერსონი (ლაციო, იტალია), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი), ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), იეკსელ ოსმანოვსკი (ბარი, იტალია), იორგენ პეტერსონი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)

ანელკა ლაპარაკს სწავლობს

ნიკოლა ანელკა

ნიკოლა ანელკამ თავისი ყოფილი კლუბი „არსენალი“ იტალიურ „ლაციოსთან“ გარიგების ჩაშლაში დაადანაშაულა და დასძინა, მადრიდის „რეალში“ თავს ბედნიერად ვგრძნობო.

ანელკას ინტერვიუ ცნობილ ფრანგულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლში“ გამოქვეყნდა. ინტერვიუში საფრანგეთის ეროვნული გუნდის თავდამსხმელი ამბობს, რომ მისი ძმები, დიდიე და კლოდი, რომლებიც იმავდროულად ფეხბურთელის მენეჯერებიც არიან, ყველაფერში უშეცდომოდ მოიქცნენ, ხოლო ლონდონური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა საშინელი სიხარბე გამოამჟღავნა.

„ჩემმა ძმებმა რომ ამოცანას თავი კარგად გაართვეს იქიდან ჩანს, რომ დღეს „რეალის“ ფეხბურთელი გახლავართ, ანუ მომაწყვეს იქ, სადაც მინდოდა. ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ფული რომ ყოფილიყო, „იუვენტუსში“ გადავიდოდი. აი, დეინის სიხარბე კი სწორედ იქიდან ჩანს, რომ „იუვენტუსის“ თავგამოდებისა და უხვად გამეტებული 50 მილიონი დოლარის მიუხედავად, საქმე გაწელა“ — ამბობს ანელკა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგ მოთამაშეს იტალიიდან „ლაციო“ და „იუვენტუსი“ იწვევდნენ. განსაკუთრებული მონდომებით ტურინელები გამოირჩეოდნენ, მაგრამ თავად ფეხბურთელმა „რეალში“ გადასვლა დაიჟინა.

„ყოველთვის მინდოდა ესპანეთის ჩემპიონატში თამაში. ერთ მშვენიერ დღეს იქ რომ უნდა მოვხვედრილიყავი, დიდი ხანია ვიცოდი და აი, გადავწყვიტე, რომ ის მშვენიერი დღე დადგა. ახლა „რეალის“ ფეხბურთელი გახლავართ და თავს ბედნიერად ვგრძნობ“ — დასძენს იგი.

გასულ სეზონში, „არსენალის“ შემადგენლობაში, ანელკამ 17 გოლი გაიტანა, თუმცა ახალ სეზონში, თან ახალ გუნდში იგი რაიმე კონკრეტულ რიცხვებს არ მისდევს.

„საკუთარი თავისთვის გასატანი გოლების რაოდენობა არ დამიკვეთავს“ — ამბობს იგი.

საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, რომელიც მადრიდელებს 36,5 მილიონი დოლარი დაუჯდათ ისევ უბრუნდება ბრიტანული პრესის თემას. იგი ამბობს, რომ კარგად თამაშის მიუხედავად ინგლისელი ჟურნალისტები მას ნიადაგ აკრიტიკებდნენ.

„როგორც წესი საქმეში გულს ვდებ, აი, ინტერვიუების მიცემა (ისევე როგორც ჩამორთმევა) კი არ მიყვარს. ესპანეთში შევეცდები შევიცვალო. იმაზე მეტს ვილაპარაკებ, ინგლისში რომ ვლაპარაკობდი, მაგრამ ზედმეტს აქაც არაფერს მოვიმოქმედებ“ — გულწრფელად აღიარებს 20 წლის ფორვარდი, რომელსაც, მისი სიტყვების თანახმად ინგლისი ყოველგვარი სინანულის გარეშე დაუტოვებია.

„ორი წლის განმავლობაში, ინგლისში, მთელი სულითა და გულით ვიშრომე და ვიბრძოლე. ეს რომ ასე არ იყო, ვერავინ იტყვის“.

როი კინი მანჩესტერელებს კვლავაც უკაპიტნებს

ოცდაათი ათასი კვირაში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა როი კინმა კლუბის რადიოში ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ გუნდში დარჩენას და პროფესიული კარიერის „ოლდ ტრეფორდზე“ დასრულებას აპირებს.

კინის განცხადებამ ბოლო მოუღო იმ მითქმა-მოთქმას, რომლის თანახმადაც ირლანდიელი ლონდონის „ჩელსიში“, ანაც იტალიის კლუბებში — „იუვენტუსსა“ და „ლაციოში“ უნდა გადასულიყო.

ირლანდიის ნაკრების ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ კვირის დასაწყისში ახალი, საბოლოო კონტრაქტი შესთავაზა, რომლის უარყოფის შემთხვევაში კინი ინგლისის ჩემპიონებს მართლაც დატოვებდა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელსა და კლუბს შორის ახალი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებები ცხრა თვეს მიმდინარეობდა.

ინგლისური პრესის თანახმად, 28 წლის როი კინი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ 1993 წელს გადავიდა, გუნდთან ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი შემოსავალი კვირაში დაახლოებით 30 ათასი გირვანქა იქნება. კინს სურდა, კლუბში ყველაზე მაღალი გასამრჯელოს მქონე, ანაც ბექემის და სტამის დარი ძვირადღირებული მოთამაშე ყოფილიყო, მაგრამ „იუნაიტედის“ ხელმძღვანელები არ დათანხმდნენ. ცნობისთვის გეტყვით, რომ დევიდ ბექემის და ჰოლანდიელი მცველის, იაპ სტამის ჯამაგირი კვირაში 40 ათასი გირვანქაა.

მას შემდეგ, რაც კინი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავიდა, იგი ოთხჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, სამჯერ ფლობდა ასოციაციის თასს, ხოლო გაზაფხულზე ჩემპიონთა თასიც მოიგო.

ირაკლი ილაშვილი

რას ეწოდება ქრთამი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ რუს საფეხბურთო აგენტ, გრიგორი იესაულენკოსთან დაკავშირებით სავსებით სწორედ მოიქცა. მოგეხსენებათ, საქმე ეხება 1994 წლის ამბავს, როდესაც იესაულენკოს კლიენტი ანდრეი კანჩელსკისი „იუნაიტედის“ ფეხბურთელი გახდა და აგენტმა მწვრთნელს, მადლობის ნიშნად, 40 ათასი გირვანქა აჩუქა. ფერგიუსონმა რომ აღმოაჩინა, რა იდო ლამაზად შეფუთულ პაკეტში, თანხა „ოლდ ტრეფორდზე“, სეიფში შეინახა და ბოლოს მოწმეთა თანდასწრებით დაუბრუნა იესაულენკოს, ოღონდ, მანამდე, გარემოებათა გამო 40 ათას გირვანქას მანჩესტერულ სეიფში მთელი წელიწადის განმავლობაში მოუხდა დება.

ეს სკანდალური ისტორია სერ ალექსმა ავტობიოგრაფიულ წიგნში აღწერა და, ბუნებრივია, დიდი მითქმა-მოთქმის საბაბად იქცა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ საქმის გამოძიება და შემდეგ, მოკვლეული მასალების ფიფაში გაგზავნა განიზრახა. იმავდროულად, ინგლისური ფეხბურთის თავკაცების თქმით, არავინ დაიწყებს იმის ჩხრეკას, სწორედ მოიქცა თუ არა ფერგიუსონი მაშინვე რომ არ ატეხა განგაში.

ალექს ფერგიუსონი

და მაინც, ვინაიდან მწვრთნელის საქციელმა ეჭვი აღძრა, ფერგიუსონი იძულებული შეიქნა გარკვეული განმარტებებისთვის მიემართა.

„სავსებით კმაყოფილი გახლავართ იმით, როგორ მოვიქეცი მაშინ“ — განაცხადა ფერგიუსონმა და კლუბის დასაცავადაც დაამატა ორიოდ სიტყვა, ფულის სეიფში ჩადება და ჩუმად ყოფნა სწორი იყო. — „იმხანად ისეთი შეგრძნება მქონდა თითქოს იესაულენკო ყველგან იყო ჩასაფრებული, მარად ანდრეის მხარსუკან იდგა, მერე კი მოულოდნელად გაქრა და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. ვგონებ ფულის მოხერხებულ მომენტში დაბრუნება სწორი გადაწყვეტილება იყო და ვერც კლუბი მოიმოქმედებდა რაიმე უკეთესს“.

შემდეგ ფერგიუსონმა სიტყვა შეჩერება თუ ჩაჩრა, მოკლედ, ქრთამი ახსენა. მან თქვა:

„რას ნიშნავს სინამდვილეში ქრთამი? ამის შესახებ შესაძლოა მრავალი მოსაზრება არსებობდეს. მე თუ მკითხავთ ქრთამი არის ის, როდესაც ვინმე ფულს გიხდის რათა საპასუხოდ რაღაც გაუკეთო. მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში ასე არ ყოფილა. მე ფული ანდრეის კონტრაქტიდან სამი თვის მერე შემაჩერეს“.

მოგეხსენებათ, კანჩელსკისი სამი სეზონის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „ევერტონში“ გადავიდა. მისი სატრანსფერო თანხა 5 მილიონი გირვანქა (8 მილიონი დოლარი) გახლავდათ.

ჯერემი ბატლერი, როიტერი

გეორგატოსი ინტერში გადავიდა

საბერძნეთის ნაკრებისა და ათენის „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელი გრიგორის გეორგატოსი ბერძნული ტელევიზიის ცნობით მილანის „ინტერში“ გადავიდა.

„მეგა-TV“-ს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად სერია A-ს კლუბმა გეორგატოსში 8,2 მილიონი დოლარი გადაიხადა. ცნობილი იყო, რომ ზოგიერთი დიდი ევროპული კლუბი თვალს ადევნებდა გეორგატოსის თამაშს.

ის, რომ „ოლიმპიაკოსმა“ გასულ სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და თასიც, მნიშვნელოვანწილად გეორგატოსის დამსახურება გახლავთ.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08



გუშინ კალათბურთის ფედერაციაში შეკრებილი მწვრთნელები ჩემპიონატის დებულების შესახებ ბჭობდნენ

მეცხრე ეროვნული: თორმეტი გუნდი 1 ოქტომბერს...

ახალი, მეცხრე ჩემპიონატისთვის მზადებას კალათბურთის ფედერაცია ამთავითვე შეუდგა. თავდაპირველად ფედერაციელები დებულებას ჩაჰკირკიტებენ, თითოეულ პუნქტზე საგულდაგულოდ მსჯელობენ. მათ პირველობაში მონაწილე კლუბების მწვრთნელებთან ათანხმებენ და თვის ბოლომდე დებულების საბოლოო სახის ჩამოყალიბებასაც გვპირდებიან.

აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის ჩემპიონატის ჩატარების სისტემაა, რომელიც ჯერ კიდევ გადასამოწმებელ-დასამტკიცებელია. თუმცაღა არსებობს გარკვეული მონახაზი, რომელიც პრაქტიკულად ახლებურ ჩემპიონატს გვთავაზობს. რაკი სიტყვა სიახლეზე ჩამოვარდა, უპირველესად ის უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მეცხრე ჩემპიონატში თორმეტი გუნდი ჩაებმება. ანუ წინა გათამაშებაში მონაწილე ათს პირველი ლიგის ორი გამარჯვებული გუნდი — სამედიცინო აკადემია" და „ბათუმი" დაემატება.

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჩემპიონატი სამ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი ორ წრედ გაიმართება, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული გუნდი ნებისმიერ მოწინააღმდეგეს სულ ცოტა ორჯერ შეხვდება. ამის შემდეგ გამოვლინდება ექვსი საუკეთესო კლუბი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ, დანარჩენები კი მეშვიდე-მეთორმეტე ადგილებს გაითამაშებენ (ბოლო ორი გუნდი ავტომატურად დატოვებს უმაღლეს ლიგას). რაკი მეორე და მესამე ეტაპის ჩატარების დეტალები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია, ჩემპიონატის სისტემაზე საუბარს აქ დავამთავრებთ.

როგორც ფედერაციაში გვარწმუნებენ, მეცხრე ჩემპიონატი პირველ ოქტომბერს დაიწყება, მატჩები პარასკეობით, შაბათობით და კვირაობით გაიმართება, ანუ ერთი ტურის ექვსი შეხვედრა სამ დღეზე გადანაწილდება. შესაბამისად, დღეში ორი თამაში.

ფედერაციაში გუნდებმა განაცხადები ათ სექტემბრამდე უნდა წარადგინონ, რის შემდეგაც თითოეულ მოთამაშეზე ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზია გაიცემა.

და კიდევ ერთი სიახლე: იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის მიერ რუსთავსა და ბათუმში წარგზავნილმა საგანგებო კომისიამ ამ ქალაქების საკალათბურთო დარბაზები ჩემპიონატის მატჩების გასამართად ვარგისად ცნო, ვიცე-ჩემპიონი „აზოტი" და უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ბათუმი" შეხვედრებს შინაც გამართავენ — მეტოქეებს თავიანთ ქალაქებშიც უმასპინძლებენ.

გიორგი ბიკაშვილი

კორაჩის თასი
აზოტი — ბკ კიევი

ორივე მატჩი რეტროს სტილში

კორაჩის თასზე ჩვენებური „აზოტისა" და უკრაინული „ბკ კიევის" შეხვედრების განსჯა ფიბამ ტრადიციულად ყოფილ „მოძმეებს" მიანდო. სამოყვარულო კალათბურთის მამებს მსაჯ-კომისართა მოძიება შორს აღარ დაუწყიათ და...

მაშ, ასე: „აზოტი" — „ბკ კიევის" თბილისურ მატჩს, რომელიც 15 სექტემბერს, სპორტის სასახლეში გაიმართება, ლატვიელი აგნის პერკონსი და ბელარუსი ფიოდორ დმიტრიევი იმსაჯებენ, კომისრობას კი რუსი მიხაილ გრიგორიევი გასწევს.

ზუსტად კვირის თავზე კიევში საპასუხო თამაშს რუსი ვლადიმირ დადუგინი და მოლდოველი ნიკოლაი კოლოტილშიკოვი განსჯიან. 22 სექტემბრის შეხვედრის კომისრობა ფიბამ უკრაინელსავე ალექსანდრ ბაბუშკინს დაავალა.

ქართველებს ფიბას ლიცენზირებული კომისარი რომ გვყავდეს, თბილისურ მატჩზე მას მოავლენდნენ.

ევროპული ტრანსფერები
საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი ცენტრს ეძებს

„ნიუ ჯერსი ნეთსიდან" დათხოვნილმა ცენტრმა რონი საიკლიმ უარყო პირეოსის „ოლიმპიაკოსის" წინადადება და კვლავ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რომელიმე გუნდში აპირებს თამაშს. ბერძნული კლუბი ძლიერ ცენტრს ეძებს. საიკლის უარის შემდეგ იგი დაინტერესდა ორი სხვა ამერიკელით — ანტუან კარით და მაიკ ბრაუნით. ამავე დროს, „ოლიმპიაკოსი" არ კარგავს ფრანგი გამთამაშებლის ანტუან რიგოდოს შეძენის იმედს. რიგოდო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებში ეძებდა ბედს, მაგრამ, ჩანს, კვლავ ევროპაში თამაში მოუწევს.

თავისუფალი აგენტების ბაზარი

10 აგვისტო

ატლანტა ჰოქსი: შეინარჩუნა ფორვარდი კრის კროუფორდი (მოკალათე ლიანი კონტრაქტი)

ლოს ანჯელეს კლიპერსი: უარი თქვა ცენტრ სტოიან ვრანკოვიჩზე

სიეტლ სუპერსონიკსი: აიყვანა „ლეიკერსის" ყოფილი ფორვარდი რუბენ პატერსონი

ტორონტო რეპტორსი: შეინარჩუნა ფორვარდ-ცენტრი მაიკლ სტიუარტი (ექვსწლიანი კონტრაქტი)

სმიტსი კალათბურთში და ინდიანაში რჩება



სარგბილელის არქივიდან

რიკ სმიტსი

„ინდიანა პეისერზი" გახარებულია. მას აღარ მოუწევს აბალი, თანაც ძლიერი ცენტრის ძებნა. 223-სანტიმეტრიანმა ჰოლანდიელმა რიკ სმიტსმა თქვა, რომ აღარ მიდის კალათბურთიდან და მომავალ სეზონში ითამაშებს.

სმიტსმა თამაშისთვის თავის მინებება აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში „ნიუ იორკ ნიქსთან" მარცხის შემდეგ გადაწყვიტა. ამის მიზეზად მან ფეხების ქრონიკული ტრავმა დასახელა. ჰოლანდიელმა ინდიანას შტატში მდებარე ორი საკუთარი სახლის გაყიდვა გადაწყვიტა, რამაც უფრო გაძლიერა ხმები მისი წასვლის შესახებ. მთავარი კი ის ის იყო, რომ სმიტსი ოფიციალურად არაფერს ამბობდა და „ინდიანასაც" ცდის მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

თურმე, რიკს კიდევ ერთი სახლი ჰქონია, ნიუ იორკის შტატის ქალაქ უოლტონში, სადაც ზაფხულს ატარებს. სწორედ იქიდან მიაწვდინა სმიტსმა ხმა საკალათბურთო სამყაროს და თქვა: „ფეხები ნაკლებად მაწუხებს, მაგრამ თამაში შემიძლია. ამ სეზონში მოედანზე გავალ. ეს უკეთესია, ვიდრე სხვისი თამაშის ცქერა". გაირკვა, რომ ჰოლანდიელს ბოსტონელმა ორთოპედმა დან დაირეკმა უწამლა.

„პეისერზმა" შვებით ამოისუნთქა, რადგან ძირითადი ხუთეულის ცენტრი საძებნელი აღარ ჰყავს. სმიტსმა კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი წელი უნდა დაჰყოს „ინდიანაში", სანაცვლოდ კი 12,5 მილიონი დოლარი მიიღოს.

წინა სეზონში რიკმა 49 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 14,9 ქულა გააკეთა. ასეთი ცუდი შედეგი 12-წლიან კარიერაში მას ერთადერთხელ, 1992-93 წლების სეზონში ჰქონდა.

რას აპირებს 32 წლის სმიტსი მომავალში, ჯერჯერობით გაურკვეველია. ეს ხეირიანად არც მან იცის: „მინდა ვთქვა, რომ ეს ჩემი ბოლო სეზონია, მაგრამ რა იცი? ჯერ მომავალ ჩემპიონატზე უნდა ვიფიქრო და დანარჩენი მერე გამოჩნდება".

ლეიდენი მამის ჩრდილს ნიუ იორკში გაექცა



THE SALT LAKE TRIBUNE

სკოტ ლეიდენი

ჟორი სულ ერთდღიანი აღმოჩნდა. გავიდა 24 საათი და იგი სინამდვილედ იქცა: „იუტა ჯაზის" ვიცე-პრეზიდენტი სკოტ ლეიდენი „ნიუ იორკ ნიქსში" გენერალურ მენეჯერად გადავიდა.

შეგახსენებთ, რომ „ნიქსმა" აპრილში დაატოვებინა გენერალური მენეჯერის პოსტი ერნი გრიუნფელდს და მას შემდეგ სასურველ კაცს ეძებს. „ნიუ იორკ ნიქსის" პრეზიდენტი დეივ ჩიკეტსი 80-იან წლებში „იუტა ჯაზს" პრეზიდენტობდა და იქ მომუშავე ხალხის ავან-ჩავანიც შესანიშნავად იცის. ამ ძებნა-ძებნაში ჩიკეტსმა სკოტ ლეიდენი შეარჩია, რომელიც 11 წელიწადი „ჯაზის" ადმინისტრაციაში მუშაობდა, ხოლო მანამდე, შვიდი წლის განმავლობაში გუნდის მწვრთნელის თანაშემწე იყო. გასულ უქმეებზე ჩიკეტსმა ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში" მიიწვია ლეიდენი და სიტყვა „ნიქსის" გენერალურ მენეჯერობაზე ჩამოუგდო...

— „ძალიან მიჭირს აქაურობის მიტოვება. ეს ძნელად მისაღები გადაწყვეტილებაა, სხვა თუ არაფერი, 18 წლის განმავლობაში უამრავ ბრწყინვალე ადამიანთან მჭონდა ურთიერთობა — მწვრთნელებთან, მოთამაშეებთან, მფლობელებთან, ადმინისტრაციის მუშაკებთან... ვფიქრობ, სწორს ვაკეთებ. ახალ ადგილზე გადასვლა და პროფესიული ზრდა მჭირდება" — თქვა სოლტ ლეიკ სიტიში დაბრუნებულმა ლეიდენმა, აწ უკვე „ნიქსის" გენერალურმა მენეჯერმა.

41 წლის სკოტ ლეიდენი ძირძველი ნიუიორკელია. იგი ამ ქალაქში დაიბადა, გაიზარდა და ოცი წლის ასაკამდე იქვე ცხოვრობდა. მისი მშობლიურ ქალაქში დაბრუნება მნიშვნელოვნად განაპირობა ოჯახის სურვილმა: ლეიდენის მეუღლე ხელოვნების სფეროში მოღვაწე ქალია და ნიუ იორკში უფრო ფართოდ გაშლის საქმიანობას. სხვათა შორის, თავის საქმეში უფრო დიდი მასშტაბების იმედი თავად ლეიდენსაც აქვს. მით უმეტეს, რომ „იუტაში", მან, ფაქტიურად, ამოწურა შესაძლებლობები. მისივე თქმით, სოლტ ლეიკ სიტიში იგი ვერასოდეს გამოვა მამამისის, „ჯაზის" ლეგენდარული მწვრთნელის ფრენკ ლეიდენის ჩრდილიდან.

ახალ თანამდებობაზე ლეიდენი წელიწადში 1,5 მილიონ დოლარს მიიღებს, ოთხჯერ მეტს, ვიდრე „იუტა ჯაზის" ვიცე-პრეზიდენტობაში. ბევრმა ამ გადაადგილების მიზეზად ფული მიიჩნია, მაგრამ ლეიდენმა უარყო ეს აზრი: „ფული მთავარი არ არის. ასე რომ ყოფილიყო, ადრე გადავიდოდი".

ლეიდენის წასვლის შესახებ ცნობას სოლტ ლეიკ სიტიში დიდი გულისტკივილით შეხვდნენ. „იუტა ჯაზის" მფლობელი ლარი მილერი თვალებდაწითლებული წარსდგა ჟურნალისტების წინაშე და საუბრისას ცრემლები გადმოყარა: „ერთმხრივ, ლეიდენზე ძალიან ნაწყენი და გაბრაზებული ვარ, მეორე მხრივ — მინდა მას წარმატება ვუსურვო".

ლეიდენმა, ჭკვიანმა და მცოდნე კაცმა, „იუტა ჯაზს" რამდენიმე დღის წინ შეუნარჩუნა თავისუფალი აგენტი კარლ მელოუნი. მანვე მოასწრო და პრაქტიკულად, მოაგვარა ჯონ სტოქტონის და ჯეფ ჰორნაჩეკის გუნდში დარჩენის საკითხი. რაც შეეხება შენდონ ანდერსონის ახალ კონტრაქტს, მასზე მუშაობა ლეიდენმა შუა გზაზე მიატოვა და ამ საქმის დასრულება „ჯაზის" გენერალურ მენეჯერს ტიმ ჰაუელსს მოუწევს.

სამაგიეროდ, ამოისუნთქა „ნიქსის" მოთამაშეთა საქმეების დირექტორმა ედ ტაპსკოტმა. ეს კაცი დროებით ასრულებდა კლუბის გენერალური მენეჯერის მოვალეობას და ჯერჯერობით ერთადერთი გარიგება გაჩარხა: აიყვანა „ტორონტოს" ყოფილი ფორვარდი ჯონ უოლესი. ახლა ნიუიორკელებს წყნარად ყოფნა შეუძლიათ — სკოტ ლეიდენი მათთვის იმუშავებს.

კლივლენდი კონტრაქტებს არიგებს

„კლივლენდ კავალიერზმა" მკვეთრი გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. საამისოდ მან კონტრაქტები გაუფორმა ამ წლის დრაფტში ამორჩეულებს: მე-8 ნომერ ანდრე მილერს და მე-11 ნომერ ტრაიან ლანგდონს. ორივენი უკანახაზელები არიან და, „კავალიერზის" მწვრთნელთა აზრით, ორივე მიიღებს ადგილს სასტარტო ხუთეულში.

გამთამაშებელი ანდრე მილერი დრაფტი-99-ის ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და ისე მივიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ყოფილი იუტას უნივერსიტეტელი სამ წელიწადს დარჩება „კლივლენდში" და ამისთვის 4,4 მილიონ დოლარს მიიღებს. თუ კლუბი მის დატოვებას მეოთხე სეზონშიც გადაწყვეტს, მაშინ 2 მილიონის დამატებით გადახდა მოუწევს.

ტრაიან ლანგდონის კონტრაქტიც სამწლიანია. ოღონდ შედარებით მოკრძალებული: კალათბურთელს ამ ხანში 3,7 მილიონი ერგება. მეოთხე წელიწადს მისი დატოვება კი 1,6 მილიონი დოლარი ღირს. ლანგდონი დიუკის უნივერსიტეტიდანაა მოსული და სტუდენტობისას კარგ მსროლელად ითვლებოდა.

ატლანტამ აგენტებისთვის მოიცალა

„ატლანტ ჰოქსმა" სეზონთაშორის პერიოდში რამდენიმე სერიოზული სავაჭრო ოპერაცია ჩაატარა, რომლებიც უმთავრესად გაცვლა-გამოცვლასა და მოთამაშეების სხვა გუნდებთან გადმოყვანაზე იყო დაფუძნებული. ახლა „ჰოქსმა" თავის ყოფილი მოთამაშეებისთვის, ანუ თავისუფალი აგენტებისთვისაც მოიცალა და ერთ-ერთი მათგანი, კრის კროუფორდი კვლავ თავის რიგებში დაიტოვა.

ორმეტრიანმა ფორვარდმა კროუფორდმა ატლანტელებთან დადო მრავალწლიანი კონტრაქტი, რომლის ფინანსური ნიუანსები არ გახმაურებულა. წინა სეზონში მან 42 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 6,9 ქულა და 4,2 მოხსნა გააკეთა.

შარშანდელ კროუფორდი ძირითადი ხუთეულის წევრი გახდა. ეს მას შემდეგ, რაც ლაფონსი ელისი თიაქარმა შეაწუხა.

პლეი ოფის პირველი წრის სამი მატჩი, „დეტროიტის" წინააღმდეგ, კროუფორდმა გამოტოვა, სამაგიეროდ, მეორე წრეში დაბრუნდა და „ნიუ იორკ ნიქსს" 26 ქულა ჩაუგდო, რაც მისი პირადი რეკორდია. საერთოდ, შარშანდელი პლეი ოფის ექვს მატჩში კროუფორდმა საშუალოდ 9,8 ქულა და 3,2 მოხსნა გააკეთა.

არიან პიროვნებები, რომელთაც პატივს მიაგებენ არა მხოლოდ თაყვანისმცემლები, არამედ მოწინააღმდეგეებიც. ეს ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ხვედრია. სწორედ ასეთი იყო შესანიშნავი ქართველი სპორტსმენი, პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ტრეკზე რბოლაში საბჭოთა კავშირიდან ომარ ფხაკაძე

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუმარჯვია ომარ ფხაკაძეს ასე იოლად და ღიმილიანად

ომარ ფხაკაძის დრო

12 აგვისტოს ომარ ფხაკაძეს 55 წელი შეუსრულდებოდა

საბჭოთა ველომრბოლები მთელი 10 წლის განმავლობაში ცდილობდნენ, ნებადართული თუ აკრძალული ხერხებით იგი ტახტიდან ჩამოეგდოთ, მაგრამ ომარ ფხაკაძე მაინც ყოველთვის პირველი და მიუწვდომელი იყო. იქნებ გახსოვთ შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი „ორნი ტრეკზე“, რომელიც ომარისა და მისი ერთ-ერთი მეტოქის, იგორ ცელოვალნიკოვის ორთაბრძოლებს ასახავს. როგორ ისწრაფვოდა ცელოვალნიკოვი, თუნდაც ერთხელ მაინც დაემარცხებინა დიდი ომარი, მაგრამ ამაოდ — გამარჯვებული მუდამ ფხაკაძე იყო. ეს არა მარტო რბოლისას ჩანდა, არამედ შეჯიბრის დაწყებამდეც, როცა იგი მშვიდი, თავის სიძლიერეში დარწმუნებული იჯდა ტრიბუნაზე. აი, მისი მეტოქენი კი ნერვიულობით ლამის ჭკუიდან შეშლილიყვნენ და არა მარტო ცელოვალნიკოვი იყო ასეთ დღეში.

ქუთაისში გაზრდილმა ბიჭმა, რომელსაც ტრეკი თვალითაც არ ენახა, გაფუფუნებულ ფრანგებს და იტალიელებსაც უჩვენა თავისი ძალა და 1965 წელს, 21 წლისამ, ბასკეთის ქალაქ სან სებასტიანში მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. ეს ისეთი დიდი მოვლენა იყო მაშინდელ საბჭოთა სპორტში, რომ ომარი იმავე წელს საბჭოთა კავშირის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

მას მოუგია თითქმის ყველა დიდი შეჯიბრება, რაც კი ტრეკზე ველომრბოლებს შორის არსებობს: პარიზის, კოპენჰაგენის, ამსტერდამის, ბერლინის, ტულის დიდი პრიზები, დაუმყარებია მსოფლიო რეკორდები და მხოლოდ ოლიმპიადის ოქროს მედალს ვერ შესწვდა.

ბევრს უთქვამს — რომ არა დანიელ მორელონი, სახელგანთქმული ფრანგი, ორგზის ოლიმპიური და შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი სპრინტში, რომელიც სწორედ იმ წლებში გამოჩნდა ასპარეზზე, ომარი კიდევ ბევრჯერ დაიპყრობდა უმაღლეს მწვერვალებსო. მაგრამ ეს წლები მაინც იყო ომარის წლები. ამ უდიდესი მრბოლების მეტოქეობამ კიდევ უფრო გაალამაზა ეს ისედაც წარმტაცი სახეობა და დაუვიწყარი წუთები აჩუქა ველოსპორტის მოყვარულებს. თვით მორელონიც კი უდიდეს პატივს სცემდა ომარს და მხოლოდ მისგან ელოდა საფრთხეს, დანარჩენებზე კი ფრანგის უპირატესობა აშკარა იყო. ისევ იმას ვამბობთ, რითაც დავიწყეთ — ფხაკაძე მოწინააღმდეგეებშიც უდიდესი მოწიწების გრძნობას იწვევდა და ამის დასტურია სპორტის ისტორიაში უნიკალური შემთხვევა: 1965 წელს, სან სებასტიანის, მსოფლიოს პირველობის ფინალში ფხაკაძესთან დამარცხებულმა იტალიელმა ტურინიმ თავის ვაჟს ომარის სახელი დაარქვა!

ომარ ფხაკაძე სუფთა და მორიდებული პიროვნება იყო. მიუხედავად ამისა, ან იქნებ სწორედ ამიტომ, გარშემო მყოფთაც კრძალვასა და რიდს აღუძრავდა. მისთვის უმთავრესი გრძნობა სიყვარული იყო და უნარიც ჰქონდა, ყველაფერი ბოლომდე და უღალატოდ ჰყვარებოდა: სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, თავისი საქმე.

გიორგი შენგელიამ სწორედ ამ თვისებების გამო მიიწვია იგი თავის ფილმში „ხარება და გოგია“, სადაც ომარი, ჩვენი სახელგანთქმული ფალავნის, ლევან თედიაშვილის დარად, ფაქიზად, საკუთარ თავს თამაშობს, თავის ვაჟკაცურ და რაინდულ სულს წარმოაჩენს.

ომარ ფხაკაძე დიადი და ძლიერი იყო ხორცითაც და სულითაც. ესეც ნიშანდობლივია: 182 სმ სიმაღლის ომარი გაცილებით დიდი ჩანდა და თაყვანისმცემლებსაც და მეტოქეებსაც დევკაცად ეჩვენებოდათ. თუმცა, რაღა ეჩვენებოდათ!

ომარ ფხაკაძე საუკეთესო გამოხატულება იყო ქართველი კაცის ნიჭის და სიდარბაისლის, გარეგნული და შინაგანი სილამაზის. მისი უდიდესი ავტორიტეტის წყალობით აიგო თბილისში შესანიშნავი ველოტრეკი, სადაც არაერთი საერთაშორისო დონის სპორტსმენი აღიზარდა. მაგრამ ომარის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ რატომღაც ამ არენაზეც გაქრა სიცოცხლე. აღარ ექცევა ყურადღება ველოსპორტის ამ მართლაც ულამაზეს სახეობას და რაოდენ გულსატკენი იქნება, თუ საქმე, რომელიც დიდმა ომარ ფხაკაძემ დაიწყო, არ გაგრძელდება.

ომარ ფხაკაძეს კუთვნილი ადგილი აქვს ქართული სპორტის ისტორიაში და არც მის ღვაწლს სჭირდება შელამაზება, მაგრამ სულაც არ იქნება ზედმეტი, ველოტრეკის მიმდებარე ქუჩას, იმ ველოტრეკისაა, რომელსაც ფხაკაძემ მთელი ენერგია შეალია, მისი სახელი ეწოდოს. ასე სურს ომარის ნიჭის უამრავ თაყვანისმცემელს.

ძლიერი სპორტსმენები გამარჯვებებს ქმნიან, უდიდესები — ეპოქებს. ომარ ფხაკაძემ ველოსპორტში ეპოქა შექმნა.

ილია მხეიძე

მსოფლიო ველოსპორტის ორი ლეგენდა: დანიელ მორელონი და ომარ ფხაკაძე



1979 წლის 26 მაისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი: დიდმა ომარ ფხაკაძემ პატარა ომარს ველოსპორტში გზა დაულოცა

მარტოობის და გულუზრუნველობის 140 კილომეტრი

ესპანეთში მიმდინარე „გალიციის ტურზე“ სამშაბათს მეორე ეტაპი გაიმართა. მრბოლები ორენსესა და მონფორტ დე ლემოსს შორის გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მათ მცხუნვარე მზის ქვეშ 171,5 კილომეტრი გაიარეს, გამარჯვებული კი საფინიშო სპრინტმა გაარკვია. ეტაპის მოგება ჰოლანდიელმა პეპელამ, იერონ ბლიილევენსმა (TVM) მოახერხა. მან უკანასკნელ მეტრებში ესპანელ ანხელ ედოსა და იტალიელებს — ფაბრიციო გიდის და სტეფანო მანინის გამოგლიჯა ხელიდან გამარჯვება.

ეტაპი ძალიან საინტერესოდ დაიწყო. ველოსიპედისტებს სტარტიდან კილომეტრიც არ გაევლოთ, რომ იტალიელმა ფაბიო როსკიოლიმ იერიში მოიწადინა. მისი გამოდევნება ვერავინ შეძლო, თუმცა ალბათ, არც არავის გასჩენია ამის სურვილი და აპენინელმაც ნელ-ნელა გაზარდა თავისი უპირატესობა. მეორე კატეგორიის სიძნელის კოუსოს უღელტეხილზე იგი მდევრებს 3 წუთზე ცოტა მეტს უგებდა.

საბოლოოდ როსკიოლიმ, რომელმაც პირველი ეტაპი მეათე ადგილზე დაასრულა, მარტოობაში 140 კილომეტრი გაიარა, მერე კი სპრინტერთა თანაგუნდელების ძალისხმევით სვლააჩქარებულმა პელოტონმა იტალიელი „გულში ჩაიხუტა“. ფინიშამდე ათიოდე კილომეტრით ადრე შეტევა კიდევ ერთმა იტალიელმა, ალესანდრო პოციმ სცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

საფინიშო სპრინტში კი უძლიერესი ბლიილევენსი იყო.

ტურნირის მთავარი ფავორიტებიდან ეტაპი თითქმის ყველამ მშვიდად ჩაამთავრა. არც შვეიცარიელ ალექს ცულეს (ბანესტო), არც ესპანელ აბრაამ ოლანოს (ონსე) და არც სხვებს უცდიათ თავის გამოჩენა. ერთ-ერთი ფავორიტთაგანი, იტალიელი ფრანჩესკო კასაგრანდე (ვინი კალდიროლა) კი, რომელმაც კვირას მსოფლიო თასის მეექვსე ეტაპზე „სან სებასტიანის კლასიკაზე“ იმარჯვა, საერთოდ დაემშვიდობა შეჯიბრებას. 160-ე კილომეტრზე მან მცირედი ტრავმის გამო რბოლა მიატოვა.

საერთო ჩათვლაში ლიდერობა პაოლო ბეტინიმ (იტალია, მაპეი) შეინარჩუნა.

გაიოზ თალაკვაძე

იერონ ბლიილევენსის ამაყი ფინიში

ჩვენთან არ ეწევიან!

ოლიმპიადის ორგკომიტეტი გაფრთხილებთ: სიდნეიში თამბაქოს გაბოლების იმედი ნუ გექნებათ!

თამბაქოს წევა რომ მავნე ჩვევაა, ყველას მოგეხსენებათ. მას უკვე, კარგა ხანია, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ებრძვის. დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში მწეველები, შეიძლება ითქვას, დისკრიმინაციასაც კი განიცდიან. სიგარეტის გაბოლება ბევრგან აკრძალული თუ არაა, ცუდ ტონად მაინც ითვლება.

ამ საქმეში ერთ-ერთი მოწინავე ჩვენგან შორს მდებარე ავსტრალია ყოფილა. ყველაზე მცირე კონტინენტის მშვენიერი ქალაქი სიდნეი გაისად ოლიმპიურ და პარა-ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. სპორტი ადამიანს გასაკაჟებლად და გასაჯანსაღებლად სჭირდებაო, იფიქრეს ოლიმპიადის ორგანიზატორებმა და გუშინ მსოფლიოს ამცნეს თავიანთი გადაწყვეტილება — რაც შეიძლება შეზღუდონ მოხმარებული თამბაქოს რაოდენობა ოლიმპიადის დღეებში. არ გეგონოთ, ისინი ამის გაკეთებას ლოზუნგებითა და მოწოდებებით შეეცდებიან. არა და არა. სიდნეის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა, უბრალოდ, აკრძალა ტურნირის მანძილზე ტრიბუნებზე, ბარებში, რესტორნებში, საცხოვრებელ შენობებში, მის კუთვნილ ავტომანქანებში, ერთი სიტყვით, ყველა ნაწილობრივ ან მთლიანად დახურულ სივრცეში თამბაქოს მოწევა.

ვინც მაინც გადაწყვეტს თავისი და სხვისი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას, თავისი განზრახვის ასრულება ღია ცის ქვეშ, საგანგებოდ მოზომილ ფართობებზე შეეძლება. ასე რომ, წვიმიან ამინდში ოლიმპიადაზე, ალბათ, ერთი ღერი სიგარეტიც არ მოიწევა.

გაიოზ თალაკვაძე

დალევ? დაიხრჩობი!

სიცხისგან თავდასაღწევად კოლჩუგინის მოსახლეობა მდინარე პეკშაზე პიკნიკებს აწყობს. ზოგი იქვე ბახუსს ეძალება და მერე სასმელით შეზარხოშებულს პოსეიდონის სამეფო ქალამნად აღარ მიაჩნია და...

ამიტომაცაა, რომ რუსეთის ამ ოლქის წყალსაცავებში წლევანდელ სეზონზე ოთხმოცამდე დამხრჩვალიდან სამოცდაათ პროცენტზე მეტი ნასვამი მამაკაცია.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ ფხიზელი სპორტსმენებიც იხრჩვებიან. ასე დაემართათ კოლჩუგინის სპორტული კლუბის ნიჩბოსნებს, რომლებიც ოთხადგილიანი ბაიდარით გუშინწინ ვარჯიშობდნენ. თვითმხილველთა თქმით, მათი ბაიდარა მოულოდნელად ფსკერისკენ რიყის ქვასავით წავიდა და ორი უმალ დაიხრჩო, ორმა კი თავს უშველა და ნაპირზე გამოვიდა.

გიგა გურასაშვილი

კანდელაკისგან მსოფლიოს ჩემპიონს შევქმნი

გვპირდება მისი პრომოუტერი ფრენკ მელოუნი

ბადრი კვირელაძის ფოტო

გუშინ ვარიანში: მარკ ლოკო, გიორგი კანდელაკი და ფრენკ მელოუნი პრესკონფერენციაზე

მელოუნმა ეს გუშინ, გიორგი კანდელაკის მიერ მისსავე მშობლიურ სოფელ ვარიანში აგებულ თავისივე სახელობის დიდებულ სპორტკომპლექს „ჩემპიონში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გვითხრა.

მელოუნს აქ ჩამოუყვანია 18 თვის გაპროფესიონალებული ინგლისელი მოკრივე მარკ ლოკო, რომელიც 21 აგვისტოს ბათუმის ცენტრალურ სტადიონზე ნებისმიერ ამინდში გიორგი კანდელაკს შეებრძოლება.

პრეს-კონფერენციაზე კიდევ ბევრი რამ შევიტყვეთ, მათ შორის მელოუნის „ქართველ შვილობილზეც“.

ყოველივე ამაზე, ბევრ სხვაზე და კანდელაკის კრივის დარბაზზეც დაწვრილებით ცალკე მოგითხრობთ.





ბადრი კვირელაძის ფოტო

კარგ დარბაზში კარგი რინგიც გაიმართა... ველოდოთ ჩემპიონებს

სამი ბრინჯაო

ასეთია საქართველოს კადეტ მოკრივეთა ნადავლი ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ისინი 13 წონით კატეგორიაში იბრძოდნენ პირველობისთვის. ბედად ეს შეჯიბრება ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში ჩატარდა, თორემ სადმე შუაგულ ევროპას რომ ემასპინძლა, იქ 13 წონით კატეგორიაში ასპარეზობა კი არა, რამდენიმეშიც სანატრელი გაგვიხდებოდა, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ფინანსური გაჭირვების გამო. არადა, იმისთვის, რომ მოზარდი დაოსტატდეს და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება მიიღოს, სწორედ რომ ამგვარ ასპარეზობებში მონაწილეობაა აუცილებელი.

შეჯიბრებას ბაქო მასპინძლობდა. საქართველოდან ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ ფოთელი ლაშა ოჩიგავა (45კგ), სენაკელი კახა ჟვანია (48) და გიორგი კანდელაკის თანასოფლელი ვარიანელი გია მაზმიშვილი (81), რომელსაც ჩვენს პროფესიონალ მოკრივეზე კარგი მისაბაძი ალბათ არც ეგულება.

გიგა გურასაშვილი

ფერარი — ირვინი

შამი სიჯვარულისა, შამი სიძულვილისა

პარასკევიდან საეჭვო და საჭოჭმანო აღარაფერია: მიხაელ შუმახერი ჩემპიონის ტიტულისთვის აღარ, უფრო სწორად, ველარ იბრძოლებს.

ოპერაცია, რაგინდ იოლი, თუნდაც მხოლოდ პროფილაქტიკური იყოს, მაინც ოპერაციაა. პარასკევს კი ექიმები უკვე მეორედ დადგნენ თავზე შუმახერს და მისი იმედი, უფრო კი ოცნება, იქნებ „ჰუნგარორინგისთვის“ სრულ ჯანზე ვიქნეო, გაქარწყლდა. შუმის სანუგეშოდ ესლა დარჩა; ექიმებმა პირობა მისცეს, ოღონდ ახლა არ აჩქარდე და, სექტემბრის დამდეგისთვის, იტალიის დიდი პრიზისთვის ფეხზე დაგაყენებთო.

ჰოდა, ყისმათიან ედი ირვინსაც მეტი რალა უნდა: მთელი „ფერარი“, უმცროს-უფროსებიანად, თვალებში შესციცინებს, აბა, შენ იცი, შენც უნდა ივარგო და გუნდიც უნდა აჩემპიონოო. აკი თვით შუმახერმაც შეუთვალა, ერთი მალე ჩავჯდე ჩემს ბოლიდში და ვინც ჩემდათავად ჩემპიონობისთვის ბრძოლაში არ დაგეხმაროს, კაცი არ იყოსო... მოკლედ, ახლა ირვინის დროა და, თუ მართლა ესეთი მაგარია, უნდა შეირგოს და შეიტკბოს ასე მოულოდნელად ჩამომდგარი ფავორიტობის ჟამი, თორემ დრო და დრო იმისთანებსაც აგონებენ, ძალიანაც არ უნდა სიამოვნებდეს...

„ფერარის“ ერთმა ხელმძღვანელთაგანმა ლუკა დი მონტეზემოლომ ახლახან ხაზგასმით, გამგონმა გაიგოსო, განაცხადა: შუმახერი იყო და იქნება გუნდის პირველი პილოტი, ირვინი კი ის კაცია, მისი სამწლიანი შრომა-ჯაფით რომ ისარგებლა და ასეთი შედეგიც ამის წყალობით მოიმკო. შუმახერის მენეჯერ ვილი ვებერისთვის კი ირვინი უკვე „ფერარის“ წარსულია: ვფიქრობ, ყველას კარგად მოეხსენება, რომ სეზონის ჩამთავრებისთანავე ირვინი „ფერარიდან“ წავა. მგონი, არც ის უნდა იყოს საიდუმლო, რომ მრბოლი, რომელიც მას შეცვლის, რუბენს ბარიჩელოა.

ცინცინატი. GREAT AMERICAN INSURANCE ATP CHAMPIONSHIPS. პარდი. საპრიზო 2 450 000 $

სამპრასს ცოტა ჭირის ოფლიც ადინეს

სერენა უილიამსი

სიურპრიზების მოყვარულთ ნამდვილად არ გაუმართლათ. ცინცინატური ტურნირის მეორე დღეს, როდესაც პირველი წრის მატჩები მიიღია და მეორის ოთხი შეხვედრა გაიმართა, განთესილთაგან მხოლოდ ერთი გავარდა — შვედი ტომას იოჰანსონი. სწორედ ის იოჰანსონი, წინა კვირას მონრეალის ტურნირზე ყველას რომ აჯობა და კანადის ღია პირველობის პრესტიჟულ ჯილდოსაც გამოჰკრა ხელი. თუმცა ის, რომ იგი ასე ნაადრევად გამოემშვიდობა ცინცინატის, არა მისი ცუდი თამაშის, არამედ ტრავმის ბრალია. იოჰანსონმა გერმანელ შუტლერთან პირველი სეტი დათმო, მეორეში კი, 4:3 რომ იგებდა, ბრძოლა ველარ გააგრძელა და მეტოქეს მოუბოდიშა.

ისე კი, როგორც ვთქვით, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, ოღონდ ზოგიერთ ბობოლას გაუჭირდა. მაგალითად, მეცხრე ნომრად განთესილმა ტოდ მარტინმა კარგა ხანს იჯახირა პარაგვაელ რაიმონ დელგადოსთან და ბოლოსლა, მესამე სეტში მოითავა საქმე. ასევე სამსეტიანი ბრძოლა გადახდა ალბერტ კოსტას ენდრიუ ილიესთან. გაცილებით იოლად გაართვეს საქმეს თავი მე-12 ნომერმა, ნიკოლას კიფერმა და მეთხუთმეტემ, ნიკოლას ლაპენტიმ. მათ ერთ დროს ათეულელები, შვედი იონას ბიორკმანი და ჩოგბურთში ჭიპმოჭრილი ამერიკელები — მაიკლ ჩანგი და ჯიმ კურიეც შეუერთდნენ. ამ უკანასკნელმა ერთ დროს მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ახლა კი კლასიფიკაციის შუაგულში ჩაკარგული ხორვატი გორან ივანიშევიჩი მოინელა.

თუ ძლიერები მეორე წრეში გასასვლელად ღვრიდნენ ოფლს, უძლიერესები პირდაპირ მეორე წრიდან ჩაერთვნენ ცინცინატური ჯილდოსთვის ბრძოლაში და ყველამ, ანუ იმ დღეს მოთამაშე ოთხივე განთესილმა გაიხერხა შემდეგი ეტაპის საგზური. მეორე წრეში ჩართული ოთხი ბობოლადან, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ყველაზე მეტად პიტ სამპრასს გაუჭირდა. მსოფლიოს პირველ ჩოგანს ნიდერლანდელი იან სიმერინკი დაუდგა ბადის მეორე მხარეს და დიდხანსაც აწვალა „პისტოლ პიტი“, რომელსაც კლასიფიკაციაში პირველობის შესანარჩუნებლად ჯერ კიდევ დიდი ჯაფა მოელის.

ამერიკელმა ჰოლანდიელს რის ვაი-ვაგლახით მოუგო პირველი სეტი ტაიბრეიკში და თითქოს არც მეორის იოლად მომგები იყო. სიმერინკმა მეორე სეტში მოწოდებაც აართვა ტიტულიან მეტოქეს და სულაც 2:0 დაწინაურდა, მაგრამ აქ სამპრასმა საფრთხე იგრძნო, ძალა მოიკრიბა და როგორც იქნა, სძლია „გათავხედებულ“ მეტოქეს. სამპრასმა შეაქო მოწინააღმდეგე და თქვა, პირველი ხელი რომ წამეგო, მერე დიდი გარჯა მომიწევდაო. სანამ პირველი ჩოგანი წვალობდა, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნომრად განთესილები წყნარად, აუღელვებლად იგვარებდნენ საქმეს. არც ერთ მათგანს — ჰენმანს, კუერტენს და კრაიჩეკს — არ წაუგია სეტში სამ გეიმზე მეტი.

პირველი წრე: ტოდ მარტინი (9, აშშ), — **რაიმონ დელგადო** (პარაგვაი) 6:4, 5:7, 6:2; **ნიკოლას კიფერი** (12, გერმანია) — **სებასტიან გროსჟანი** (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **ალბერტო კოსტა** (14, ესპანეთი) — **ენდრიუ ილიე** (ავსტრალია) 6:4, 3:6, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (15, ეკვადორი) — **ვინს სპადეა** (აშშ) 6:2, 6:2; **რანიერ შუტლერი** (გერმანია) — **ტომას იოჰანსონი** (16, შვედეთი) 6:4, 3:4; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — **მარატ საფინი** (რუსეთი) 6:3, 6:4; **ჯიმ კურიე** (აშშ) — **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) 7:6, 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — **ენდრიუ პაველი** (რუმინეთი) 6:4, 7:5; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — **ბაირონ ბლეკი** (ზიმბაბვე) 7:6, 6:3; **ჯრის ვუდრაფი** (აშშ) — **ვეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; **შან მაიკლ გეიგილი** (აშშ) — **სიენგ შალკენი** (ჰოლანდია) 6:4, 6:3; **პოლ გოლდშტეინი** (აშშ) — **მარკ ვუდფორდი** (ავსტრალია) 6:3, 6:2.

მეორე წრე: პიტ სამპრასი (1, აშშ) — **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) 7:6, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (5, ბრიტანეთი) — **ჯონ ვან ლოტუმი** (ჰოლანდია) 6:2, 6:1; **რიჩარდ კრაიჩეკი** (7, ჰოლანდია) — **ივან ლენდლი** (ხორვატია) 6:1, 6:3.

მანჰეტენ ბიჩი. კალიფორნია. საპრიზო 520 000 $

როგორც იქნა, ითამაშა სერენა უილიამსმა, რომელიც დიდ ყურადღებას იმსახურებდა თუნდაც იმის გამო, რომ მან მთელი ორი თვე უქმად გაატარა — საფრანგეთის ღია პირველობის მესამე ეტაპიდან გავარდნის შემდეგ კარგა ხანს შოკში იყო. „სადებიუტო“ მატჩში შავკანიანმა თინეიჯერმა გამარჯვება კი მოახერხა, მაგრამ ძნელად, დიდი ძალ-ღონე შეალია ელენა ლიხოვცევას ძლევას, რომელიც სულაც არ აპირებდა, მეტოქეს დანებებოდა. პირველი სეტი კიდეც მოუგო 6:4, თუმც იგი ფიზიკური შესაძლებლობებით ერთობ ჩამორჩებოდა სერენას, ამიტომაც მეორე სეტი უილიამსს დარჩა და მესამეც უფრო იოლად მოიგო.

„კარგა ხანია, არ მითამაშია და ამიტომაც ეს მატჩი მძიმე გამოდგა ჩემთვის — თქვა სიხარულისგან მეშვიდე ცაზე მყოფმა სერენამ — უზომოდ ბედნიერი ვარ და იმედი მაქვს, კიდევ მოვიგებ.“

იმ დღეს ერთადერთი განთესილი გამოაკლდა ტურნირს — ფრანგი სანდრინ ტესტიუ. მას კორინა მორარიუმ სძლია სულ იოლად. დიდ ინტერესს იწვევდა გერმანელი ანკე ჰუბერის და ამერიკელი ალექსანდრა სტივენსონის შეხვედრა. უიმბლდონის ნახევარფინალისტ სტივენსონს მთელი მსოფლიო ყურადღებით ადევნებს თვალყურს, რადგან, როგორც უიმბლდონის ტურნირის მსვლელობისას გაირკვა, ეს მომხიბლავი მულატი გოგონა, თურმე ნუ იტყვით და, 70-იან-80-იანი წლების ნბა-ს ლეგენდის, ჯულიუს ირვინგის უკანონო შვილი ყოფილა. სტივენსონი საკმაოდ პერსპექტიული ჩოგბურთელია და სავსებით შესაძლოა, მომავალში მამასავით ცნობილი სპორტსმენი გახდეს. თუმცა ახლა მან ვერაფერი მოუხერხა გერმანელ მეტოქეს და ტურნირსაც გამოემშვიდობა.

პირველი წრე: სერენა უილიამსი (6, აშშ) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 4:6, 6:3, 6:1; **ბარბარა შეტი** (7, ავსტრია) — **ინეს გორროჩატეგი** (არგენტინა) 6:3, 6:2; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — **მაგუი სერნა** (ესპანეთი) 6:3, 6:4; **კორინა მორარიუ** (აშშ) — **სანდრინ ტესტიუ** (8, საფრანგეთი) 6:1, 6:3; **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — **მარიანა ლუჩიჩი** (ხორვატია) 6:3, 6:1; **ნატაშა ზვერევა** (ბელარუსი) — **ირინა სპირლეა** (რუმინეთი) 6:4, 6:7, 7:5; **რუქსანა დრაგომირი** (რუმინეთი) — **ანე კლემერი** (ლუქსემბურგი) 2:6, 7:6, 6:2; **ანკე ჰუბერი** (გერმანია) — **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) 6:4, 6:4.

ივანე კობიაშვილი

აკოფიანი, დარდიმანდიანი

28 წლის სომეხი მოჭადრაკე, ფიდეს რეიტინგ-ლისტის 36-ე წევრი და პირველ წრეში ჩვენი მაია ჩიბურდანიძის დამმარცხებელი ვლადიმერ აკოფიანი ერთერთია იმ ორთაგან, მეოთხედფინალში უტაიბრეიკოდ რომ გავიდა. აკოფიანს სენსაცია არ მოუხდენია, მისგან დამარცხებული ბულგარელი კირილ გეორგიევი რეიტინგ-ლისტში არცთუ მოწინავეა, 32-ე, მაგრამ 8 საუკეთესოს შორის მოხვედრა აქამდე არცთუ მქუხარე სახელის მქონე სომეხი მოჭადრაკისთვის მშვენიერი მიღწევაა. აკოფიან-გეორგიევის მეორე პარტიაში ძირითადი მოვლენები ენდშპილში განვითარდა. პარტიის დასარულს, 66-ე სვლაზე დფას სულ 4 ფიგურა შემორჩა: მეფეები, თეთრი ეტლი და შავი მხედარი. მათი განლაგება იმგვარი იყო, რომ ორიოდე სვლაში მხედარიც გაღმა უნდა გასულიყო, ამიტომ გეორგიევი ნაღვლიანად დანებდა. მეოთხედფინალში გავიდა ალექსეი შიროვიც, რომლის პირველ გამარჯვებაზე გუშინ ვილაპარაკეთ. შორტთან მეორე პარტიაში ექს-რიგელმა მისთვის საკმარისი ნახევარი ჭულაც შეიმატა. დანარჩენი წყვილები დღეს სწრაფი ჭადრაკის წესებით გაარკვევენ ურთიერთობებს. აი, ისინიც: ივან-ჩუკი-ნისიპეანუ, ადამსი-დრეევი, კრამნიკი-ტოპალოვი, ხალიფმანი-გელფანდი, იუდით პოლგარი-ზვიაგინცევი, მოვსესიანი-ფიიოდოროვი.

დავით გულუა

სარბიელელები
სამძიმარს ვუცხადებთ
ჩვენს თანამშრომელს გიო
ახვლედიანს მამის
ზურაბ ახვლედიანის
გარდაცვალების გამო

ინგლისი

II ტური

მანჩესტერი 4:0 შეფილდ უენ.

1:0 სქოულზი (9), 2:0 იორკი (35), 3:0 კოული (53), 4:0 სოლსკიაერი (82)

ლესტერი 1:0 ქოვენთრი

1:0 იზეტი (24 პ)

ასტონ ვილა 3:0 ევერტონი

1:0 ჯოაკიმი (9), 2:0 დაბლინი (57), 3:0 ტეილორი (85)

საუთჰემპტონი 0:3 ლიდსი

0:1, 0:2, 0:3 ბრიჯისი (10, 51, 72)

ლიგის თასი.

I ეტაპი. I მატჩები

ბრენტფორდი 0:2 იფსვიჩი

ბრაიტონი 0:2 ჯილინგემი

მანჩესტერ სიტი 5:0 ბარნლი

ნოტინგემი 3:0 მანსფილდი

რედინგი 0:0 პიტერბრო

სუონსი 2:0 მილუოლი

ნორვეგია

გადადებული მატჩი

ბრანი — ტრომსო

კიდევ გადაიდო

კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. ♘g1-f3 d7-d6 3. ♗f1-b5+ ♘c8-d7 4. ♘b5:d7+ ♕d8:d7 5. c2-c4 ♘b8-c6 6. ♘b1-c3 ♘g8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. ♘f3-d4 ♗g7 10. ♘d4-e2 ♕d7-e6 11. ♘c3-d5 ♕e6:e4 12. ♘d5-c7+ ♔e8-d7 13. ♘c7:a8 ♕e4:c4 14. ♘a8-b6+ a7:b6 15. ♘b1-c3 ♖h8-a8 16. a2-a4 ♘f6-e4 17. ♘c3:e4 ♕c4:e4 18. ♕d1-b3 f7-f5 19. ♗c1-g5 ♕e4-b4 20. ♕b6-f7 ♗g7-e5 21. h2-h3 ♖a8:a4 22. ♖a1:a4 ♕b4:a4 23. ♕f7:h7 ♗e5:b2 24. ♕h7:g6 ♕a4-e4 25. ♕g6-f7 ♗b2-d4 26. ♕f7-b3 f5-f4



ფიქრნი მზის პირას

ახლა მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ გაცილებით სჯობს ტიტველი იყო, ვიდრე ციურიხის „გრასჰოპერის“ ფეხბურთელი: დახედეთ ამ ფოტოს, რომელზეც „გრასჰოპერის“ ნორვეგიელი მოთამაშე კიეტილ ლოვიკია აღბეჭდილი და ნახავთ მის მწუხარე სახეს. მართლაც სამწუხარო ამბავია, ევროპის კონტინენტზე საუკუნის უკანასკნელი მზის დაბნელებაა, ციურიხის უყმურ ცას კი ღრუბელი ჩამოფარებია და მზის წინ ცოცხალი კედელივით გაჯგიმულ მთვარეს არ გაჩვენებს. ახლა დახედეთ იმ ფოტოს, რომელზეც დასავლეთ საფრანგეთში მოლაღობე ნუდისტები გახლავან გამოსახული. ისინი ყველაფერს კარგად ხედავენ ანუ ისტორიული პიროვნებები არიან, რამეთუ ევროპელებს მზის სრული დაბნელება ამიერიდან 2081 წლამდე აღარ ელით. აქედან მორალი: ჯობს იყო ტიტველი და ისტორიული, ვიდრე ჩაცმული და ფეხბურთელი.



REUTERS ციურიხიდან

REUTERS კიევიდან

სიხარულის უნარი

იმდენი მე და თქვენ სიცოცხლე, ქვეყნად რამდენი ჯან-ღონით აღსავსე წუწუნა და ცხვირჩამოშვებულიც დადის. ამ ხალხს კი, კიევში, ინვალიდთა საფეხბურთო ჩემპიონატში რომ შონაწილეობენ, სული აქვთ უტეხი და არც ვიშვიში სჩვევიათ. ამიტომაც უხარიათ, თუმც, იქნებ, სხვაზე მეტი ჰქონდეთ სავიშვიშო. ისინი ბრაზილიელები არიან და, ბუნებრივია, ჩემპიონები გახდნენ. ფინალში რუსებს მოუგეს 1:0, ხოლო ის კაცი, ვისაც მეგობრები ულოცავენ, გამარჯვების გოლის ავტორი ფრანსისკო ნაიდონიო გახლავთ.

REUTERS ვაშინგტონიდან

კლინტონმა უთხრა ლანსსაო

ბილ კლინტონი ის კაცია, „პერშინგებს“ თლის, სხვენში აწყობს, ვინც არ მოსწონს, თავში ჩასცხობს. კიდევ, ბილ კლინტონს ორი რამ უყვარს ამქვეყნად, საქსოფონი და ქალები. კიდევ, აშშ-ის პრეზიდენტია და ვალდებულია ერის გამოჩენილი შვილები თეთრ სახლში მიიპატიჟოს, ხოლო თუ ეს შვილი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ლანს არმსტრონგია, ყვითელი მაისურა და ჩემპიონი ველოსიპედის ზუსტი ასლი გამოართვას, მადლობა უთხრას, ვითომ ძალიან გაეხარდა და დაპირდეს, თანამდებობიდან რომ ნავალ და ჩელსისაც გავათხოვებ, არკანზასის შარაგზებზე შენს მაისურაში გამოწყობილი შენივე ველოსიპედით სეირნობაში მოვკლავ დროსო.



REUTERS ვაშინგტონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. **საფოსტო მისამართი:** თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli